

ცხოვრების კულტურული სკრიპტი: ქართული ვერსია

გიორგი ჭუმბურიძე, MA

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლილი ხეჩუაშვილი, PhD

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე: კვლევა მიზნად ისახავს ქართული კულტურული სკრიპტის დადგენას, მასში სქესისა და ასაკის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების გამოვლენას; ასევე, კვლევის მონაწილეთა მიერ დასახელებული პირადი და ზოგადი მოვლენების და ქართული სკრიპტის უცხოური სკრიპტებისათვის შედარებას. სამ ასაკობრივ ჯგუფად განაწილებულმა 270-მა მოხალისე მონაწილემ დაასახელა (ა) შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მათი აზრით მოხდებოდა რიგითი ქართველის ცხოვრებაში დაბადებიდან გარდაცვალებამდე და (ბ) საკუთარ ცხოვრებაში მომხდარი/მოსახდენი ყველაზე მნიშვნელოვანი შვიდი მოვლენა. შემდეგ თითოეული მოვლენა შეაფასეს მოხდენის მოსალოდნელობის და ასაკის, მნიშვნელოვნებისა და ემოციური ასპექტის მიხედვით. ქართული კულტურული სკრიპტი, რომელიც კულტურული სკრიპტის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, 32 მოვლენას მოიცავს. სტუდენტების ჯგუფმა ზოგად მოვლენებში უფრო მეტი ისეთი მოვლენა დაასახელა, როგორც პირად ცხოვრებაში ჯერ არ ჰქონდათ განცდილი. ქართული კულტურული სკრიპტი, მეტწილად, თანხვედრა ამერიკულ, დანიურ, თურქულ და ა. შ. კულტურებში გამოვლენილ სკრიპტებს.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების კულტურული სკრიპტი, პირადი და ზოგადი მოვლენები, კროსკულტურული შედარება.

“ჩემი თაობის გოგონები, უმეტესწილად, ასე ფიქრობდნენ: სკოლაში ვსწავლობდი კარგად. ბავშვობაში ჭადრაკში წარმატებები. მერე მთავარი იყო, რომ უნივერსიტეტი დაგემთავრებინა და, შესაბამისად, გემუშავა. მთავარი შემდგომი მიზანი იყო ოჯახი.”

ამ ამონარიდში (ხეჩუაშვილი, 2016d) 44 წლის ქალბატონი აღწერს თანატოლების ცხოვრების გეგმას, რომელსაც იგი და მისი ტოლი გოგონები უნდა მიჰყოლოდნენ. ჯერ სკოლაში უნდა ესწავლათ და სკოლასთან ან სკოლის გარეთ არსებულ რომელიმე წრეზე ევლოთ. ზოგის შემთხვევაში ეს მუსიკალური ათწლედის იყო, ზოგისთვის — ცეკვა, ზოგისთვის კი — რაიმე სპორტული აქტივობა. ამ ქალბატონის შემთხვევაში ეს იყო ჭადრაკი. სკოლას მოსდევდა უნივერსიტეტი, სამსახურის დაწყება და შემდგომ კი ყველაზე მთავარი მიზანი, ოჯახის შექმნა. ეს ამონარიდი ნათლად გვიჩვენებს, როგორ მიჰყვება ამ ქალბატონის ცხოვრება მისი თაობის გოგონებისთვის განკუთვნილ ერთგვარ გეგმას. როგორც თავადვე ამბობს, ასევე იქცეოდნენ მისი თაობის სხვა გოგონებიც: „ჩემი თაობის გოგონების უმრავლესობა ასე ფიქრობდა“.

ის, რაზეც ეს ქალბატონი საუბრობს, ჩვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობია. ქართულ კულტურაში საკმაოდ კარგად იკვეთება გარკვეული ცხოვრებისეული მოვლენების თანმიმდებრობა, თუნდაც როგორც ამ ქალბატონის შემთხვევაშია: ჯერ სკოლა, შემდეგ უნივერსიტეტი, შემდეგ ოჯახის შექმნა. ამ თანმიმდევრობის შესახებ ყველას გვაქვს გარკვეული ინფორმაცია. ეს ყოფითი, ყოველდღიური ცოდნაა, რომელიც თითქოს ყველამ იცის, თუმცა დღეისათვის არ მოიძებნება არც ერთი ემპირიული კვლევა, რომელიც სისტემატურად აღწერდა კონკრეტული სკრიპტის/სცენარისა თუ ადამიანების ცხოვრებაში აუცილებლად მოსახდენი და სასურველი მოვლენების მიმდევრობას და/ან შინაარსს. მართალია, ქართულ კულტურაში მსგავსი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, ამერიკასა და ევროპის რიგ ქვეყნებში ათ წელიწადზე მეტია იკვლევენ ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების გზას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. პირველი ასეთი კვლევა ბერნცენსა და რუბინს (Berntsen & Rubin, 2002) ეკუთვნით, რომელიც დანიელთა ცხოვრების სკრიპტის შინაარსისა და სტრუქტურის შესწავლას ისახავდა მიზნად.

წარმოდგენილი კვლევა ცხოვრების ქართული კულტურული სკრიპტის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური კვლევების წარმოებას ევროპულ და ამერიკულ აკადემიურ სივრცეში თითქმის ოცწლიანი ისტორია აქვს, თანამედროვე ქართულ ფსიქოლოგიაში ჯერ მხოლოდ ახლა იწყება ამ მიმართულებით მუშაობა. მოცემული კვლევა, რომელიც ბერნცენისა და რუბინის (2002, 2004) ორიგინალური კვლევის რეპლიკაციას წარმოადგენს, ფაქტობრივად, კულტურული სკრიპტისა და მისი მახასიათებლების სისტემატური გზით, რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით შესწავლისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელიც მნიშვნელოვნად შეავსებს უკვე არსებულ ცოდნას ნარატიული იდენტობის კონტექსტში ინდივიდუალური და კულტურული სკრიპტების, მათი ურთიერთქმედებისა და თავისებურებების შესახებ.

გარდა ამისა, ქართულ შერჩევაზე ბერნცენისა და რუბინის კულტურული სკრიპტის თეორიული მოდელის ფარგლებში ქართული კულტურული სკრიპტისა და მისი ასპექტების შესწავლა მას სხვა ქვეყნებში წარმოებული კვლევების რიგში ჩააყენებს, რომლებშიც უკვე ჩატარებულია ანალოგიური კვლევა. ამასთან, ორიგინალური კვლევის (Berntsen & Rubin, 2004) კიდევ ერთ კულტურაში (ამ შემთხვევაში საქართველოში) რეპლიკაცია თავის წვლილს შეიტანს კულტურული სკრიპტის ცნებისა და თეორიული მოდელის კულტურული ინვარიანტობის დასაბუთებაში.

ამრიგად, კვლევის ძირითად მიზანს საქართველოში მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ჩვეული, მისაღები სკრიპტის გამოვლენა და მისი თავისებურებების აღწერა წარმოადგენდა. ასევე, კვლევა მიზნად ისახავდა ცხოვრების კულტურული სკრიპტის მიხედვით სხვადასხვა თაობისა და რეგიონში მცხოვრები ადამიანების სკრიპტებს შორის განსხვავებების დადგენას.

კვლევის მეთოდისა და შედეგების განხილვამდე, მოკლედ არის მიმოხილული წარმოდგენილი კვლევის თეორიული ჩარჩო და ძირითადი დაშვებები, ცხოვრების კულტურული სკრიპტის ცნება, მისი კვლევის მეთოდოლოგია და დღეისათვის არსებული მულტიკულტურული ცოდნა ადამიანებს შორის ინდივიდუალური და კროსკულტურული განსხვავებების შესახებ ცხოვრების სკრიპტის მიხედვით, რომელიც საფუძვლად დაედო წინამდებარე ნაშრომს.

ცხოვრების კულტურული სკრიპტი

ტერმინი *ცხოვრების კულტურული სკრიპტი* ბერნცენსა და რუბინს (Berntsen & Rubin, 2004) ეკუთვნით, რომელიც შანკისა და აბელსონის (Schank & Abelson, 1977) სკრიპტის ცნებასა და კულტურულად მიღებულ ნორმებს (Neugarten, Moore, & Lowe, 1965) აერთიანებს. კულტურული სკრიპტი მოცემული კულტურის ფარგლებში ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი მოვლენების ერთიანობაა, რომელიც ინდივიდის იდეალურ, პროტოტიპულ ცხოვრებაში ხდება და რასაც მაკლინი და საიედი ბიოგრაფიულ მასტერ ნარატივს უწოდებენ (McLean & Syed, in press; ხეჩუაშვილი, 2016d).

თითოეულ კულტურაში არსებობს გარკვეული განრიგი, რომელიც განსაზღვრავს იმ ასაკობრივ პერიოდს, რომელშიც უნდა განვითარდეს ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები, იქნება ეს ქორწინება, შვილის გაჩენა თუ პენსიაზე გასვლა (Neugarten, et al. 1965). ადამიანებმა არამარტო იციან თავიანთ კულტურაში არსებული ასაკობრივი ნორმების შესახებ, არამედ კარგადაც აცნობიერებენ, რა დამოკიდებულება აქვთ მათთან — იცავენ მათ თუ არა, მაგალითად, ნაადრევად იქორწინეს თუ შვილის გაჩენას აგვიანებენ (Shai, 2002).

სკრიპტი საზოგადო სივრცეში არსებული ერთგვარი ცოდნაა, რომელსაც მოცემული კულტურის ფარგლებში მთხრობელიც იცნობს და მსმენელიც. შესაბამისად, ამბის მოყოლისას არავის სჭირდება დეტალების დაკონკრეტება (Schank & Abelson, 1977). მაგალითად, როდესაც ადამიანი ყვება, როგორ წავიდა სადილად რესტორანში, ამ პროცესზე წარმოდგენას ჩვენთვის ნაცნობი სკრიპტის საშუალებით ვიქმნით: ადამიანი მიდის რესტორანში, ჯდება სკამზე, ათვალთვლებს მენიუს, აძლევს შეკვეთას, მიმტანი შეკვეთას გადასცემს მზარეულს, რომელიც ამზადებს კერძს, მიმტანს მოაქვს კერძი მაგიდასთან, კლიენტი სადილობს, შემდეგ იხდის ფულს და ტოვებს რესტორანს. რა თქმა უნდა, რესტორანში ყოველი სადილი შეიძლება მსგავსი თანმიმდევრობით არ წარიმართოს, თუმცა, მსმენელსა და მთხრობელს შორის არსებობს გარკვეული ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, რომ რესტორანში სადილობისას ეს მოვლენები უფრო ხშირად ხდება, ვიდრე რაიმე სხვა.

რესტორანში სადილობის მსგავსად, ადამიანებს თავიანთი ცხოვრების ერთგვარი სცენარი აქვთ, რომელიც მოცემულ კულტურაში გაზიარებული ცოდნის სახით არსებობს.

კულტურული სკრიპტები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. შანკი და აბელსონი (1977) ექვს მახასიათებელს აღწერენ: (1) ცხოვრების სკრიპტი მოცემულ კულტურაში არსებული სემანტიკური ცოდნაა ცხოვრებაში მოსალოდნელი მოვლენების შესახებ და არა — რომელიმე ინდივიდის პირადი გამოცდილების შესახებ მოგონებათა ერთობლიობა; (2) ის დროში სერიებად დალაგებული მოვლენებია და (3) ყველაზე ზოგად მოვლენებს აერთიანებს. მაგალითად, შედარებით ზოგადი მოვლენა *ქორწინება* რამდენიმე უფრო კონკრეტულ მოვლენას აერთიანებს: ქორწინების თარიღის დათქმა, ჯვრისწერა, ხელის მოწერა, ქორწინების შემდგომი წვეულება, თაიგულის გადაგდება და საქორწინო მოგზაურობა; (4) კულტურული სკრიპტის აღსაწერად დროის მონაკვეთები შეგვიძლია გამოვიყენოთ; (5) დროის მონაკვეთები კულტურულად მნიშვნელოვანი მოვლენებია, რომლებიც ამ კულტურის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ დროს ხდება; (6) ცხოვრების სკრიპტი ცხოვრების ისტორიების დასამუშავებლად გამოიყენება.

ამ ჩამონათვალს ბერნცენი და რუბინი (2004) ოთხ მახასიათებელს ამატებენ, რომელიც საკუთრივ ცხოვრების კულტურულ სკრიპტს აღწერს (Rubin et al., 2009): (1) ცხოვრების სკრიპტი ცხოვრების ნორმატიული კურსია, რომელიც ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. ამიტომ ახალგაზრდები, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების მხოლოდ მცირე ნაწილი აქვთ განვლილი, კარგად იცნობენ მათ კულტურაში დამკვიდრებულ და მიღებულ მთლიან სცენარს; (2) ის არ არის საშუალო ცხოვრება. ის იდეალური ცხოვრებაა, რომელშიც გამოტოვებულია უამრავი ყოველდღიური მოვლენა; (3) მასში, რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, უფრო მეტი დადებითი მოვლენაა და (4) უფრო მეტი მოვლენა ხდება ადრეული მოზრდილობის პერიოდში.

ადამიანები ცხოვრების კულტურულ სკრიპტს მომავალი მოვლენების წარმოსადგენად იყენებენ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კულტურული სკრიპტი, გარკვეულწილად, განსაზღვრავს კიდევ ჩვენს მომავალს. ბერნცენი და ჯეიკობსენი (Berntsen & Jacobsen, 2008) ახალგაზრდა მოზრდილებს წარსულში მომხდარი მოვლენების მოგონებასა და იმ მოვლენების წარმოდგენას სთხოვდნენ, რომლებიც მომავალში შეიძლებოდა მომხდარიყო. კვლევამ აჩვენა, რომ ორ წელზე მეტი ხნის წინ მომხდარი და ორი და მეტი წლის შემდეგ მოსახდენი მოვლენები მნიშვნელოვნად იყო გაჯერებული ცხოვრების კულტურული სკრიპტიდან აღებული ამბებით.

როგორ იკვლევენ ცხოვრების კულტურულ სკრიპტს

ჯენსენი და ჰაკი (Janssen & Haque, 2015) კულტურული სკრიპტის შესწავლის ორ მეთოდს აღწერენ. ერთ შემთხვევაში კვლევის მონაწილეებს სთხოვენ, თქვან, როდის მოხდა მათ ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი, სევდიანი, მნიშვნელოვანი და ტრავმული მოვლენა (Berntsen & Rubin, 2002). ამგვარ კვლევებში მონაწილეებს სთხოვენ, დაასახელონ, როდის იგრძნეს ყველაზე დიდი შიში, სიამაყე, სიყვარული, ბრაზი და შური. ასევე, ეკითხებიან, როდის მოხდა მათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა და როგორი იყო ეს მოვლენა — დადებითი თუ უარყოფითი (Rubin & Berntsen, 2003). ამ კვლევებმა განსხვავებული სურათი აჩვენა დადებითი და უარყოფითი მოგონებების შემთხვევაში. კერძოდ, დადებითი მოგონებების შემთხვევაში აღინიშნებოდა მოგონებათა შეჯახება (reminiscence bump), ხოლო უარყოფითის შემთხვევაში — არა. მოგონებათა შეჯახება ის ეფექტია, რომლის დროსაც ადამიანებს წარსულის გახსენებისას 10-30 წლის ასაკში მომხდარი ამბები აგონდებათ.

მეორე ტიპის კვლევებში მონაწილეებს შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის ჩამოწერას სთხოვენ, რომელიც შესაძლებელია მოხდეს მათ კულტურაში მცხოვრები, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული ახალშობილის ცხოვრებაში (Berntsen & Rubin, 2004). ამის შემდეგ თითოეული მოვლენისთვის წერენ, რამდენად და რა ასაკშია მოსალოდნელი მისი მოხდენა. ამასთან, მათ ვალენტობისა და მნიშვნელოვნების მიხედვითაც აფასებენ. მიღებული მონაცემების დახარისხების შემდეგ ბერნცენმა და რუბინმა (2004) ცხოვრების კულტურულ სკრიპტში ის მოვლენები შეიტანეს, რომლებიც რესპონდენტთა, სულ მცირე, 4%-მა დაასახელა.

კროს-კულტურული განსხვავებები

ბერნცენისა და რუბინის (2004) დღისათვის 10-ზე მეტ ქვეყანაშია გამოკრებული, მათ შორის გერმანიაში (Habermas, 2007), თურქეთში (Erdogan et al., 2008), ამერიკის შეერთებულ შტატებში (Rubin et al., 2009), მალაიზიაში (Haque & Hasking, 2010),

ჰოლანდიაში (Janssen & Rubin, 2011), მექსიკაში (Zaragoza-Scherman & Berntsen, 2012), ყატარსა (Ottson & Berntsen, 2013) და იაპონიაში (Janssen, Uemiyama & Taka, 2014). ჰატიბოღლუმ და ჰაბერმასმა (Hatiboglu & Habermas, 2016) ახლახანს დაასრულეს ერთობლივი კროსკულტურული კვლევა, რომელშიც გერმანელების, გერმანიაში ემიგრირებული თურქების და თურქეთის ქალაქსა და სოფელში მცხოვრები თურქების ცხოვრების კულტურული სკრიპტები იკვლიეს. ასევე, კოულმენმა (Coleman, 2014) იკვლია ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები აფრო-ამერიკელების კულტურული სკრიპტები.

კვლევებმა ცხოვრების პროტოტიპული სკრიპტის კულტურულად ინვარიანტული რამდენიმე მახასიათებელი გამოავლინა (Jansen & Haque, 2015). კვლევის მონაწილეები, ძირითადად, ასახელებენ მოვლენებს, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანი და მეტად მოსალოდნელია. დასახელებული მოვლენების დაახლოებით ორი მესამედი დადებითია და მათი დიდი ნაწილი ადრეულ მოზრდილობაში ხდება. რაც შეეხება უარყოფით მოვლენებს, ისინი თანაბრად ნაწილდება ადამიანის მთელ ცხოვრებაზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ დადებითი მოვლენების მოხდენის მოსალოდნელი ასაკობრივი შუალედი უფრო მცირეა, ვიდრე უარყოფითის.

მსგავსი შედეგები აჩვენა კოულმენის (Coleman, 2014) კვლევამაც, რომელშიც აფრიკელი ამერიკელების მიერ დასახელებული მოვლენების უმრავლესობა დადებითი იყო; თუმცა, სხვა კვლევებისგან განსხვავებით, მათ გაცილებით მეტი მოვლენა დაასახელეს.

შერმანმა (Scherman, 2013) დანიაში, აშშ-ში, თურქეთსა და ჰოლანდიაში ჩატარებული კვლევების მეტაანალიზით აჩვენა, რომ ოთხივე კულტურაში ყველაზე ხშირად სახელდებოდა სამი მოვლენა: შვილების შექმნა, ქორწინება და სკოლის დაწყება. ასევე, კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სრულიად მართებული იყო ცხოვრების სკრიპტის ზემოთ აღწერილი ათი მახასიათებლის გამოდიფერენცირება. ამასთან, დასახელებული მოვლენების უმეტესობა დადებითი იყო და მოსალოდნელი იყო 15-30 წლის შუალედში, ხოლო უარყოფითი მოვლენები მოხდენის ასაკი არ დაკონკრეტებულა.

სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების კულტურული სკრიპტები რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლით განსხვავდება კიდევ ერთმანეთისგან. პირველ რიგში, ეს არის დასახელებული მოვლენების რაოდენობა. დანიელების ცხოვრების სკრიპტი 35 მოვლენისგან შედგება (Bernsten & Rubin, 2004), ამერიკელთა ცხოვრების სკრიპტში 24 მოვლენა გვხვდება (Rubin et al., 2009), თურქებთან — 27 (Erdogan et al., 2008), ჰოლანდიელებთან — 37 (Janssen & Rubin, 2011), ხოლო იაპონელებთან — 31 მოვლენა (Janssen, Uemiyama & Naka, 2014). რაც შეეხება ჰატიბოღლუსა და ჰაბერმასის (2016) კვლევას, გერმანელებმა დაასახელეს 32 მოვლენა, მიგრანტმა თურქებმა — 28 მოვლენა, ქალაქში მცხოვრებმა თურქებმა — 23, სოფლად მცხოვრებმა თურქებმა კი — 21 მოვლენა. შედარებით მცირე რაოდენობის მოვლენები მონაწილეთა შორის უსიტყვოდ არსებულ შეთანხმებაზე მეტყველებს, რაც ცხოვრების უფრო მეტად დომინანტურ კულტურულ სკრიპტზე მიუთითებს, დიდი რაოდენობით მოვლენები კი უფრო ნაკლებად საზიარო და დომინანტურ კულტურულ ცხოვრებისეულ სკრიპტზე მეტყველებს.

კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც კარგად იკვეთება არსებულ კვლევებში, ისაა, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულად შეიძლება

ფასდებოდეს. მაგალითად, თურქებისთვის მშობლების ოჯახის დატოვება და ახალი ცხოვრების დაწყება უარყოფითი მოვლენაა (Erdogan et al, 2008), დანიელებისთვის კი — დადებითი (Berntsen & Rybun, 2004). ასევე, გამოიკვეთა კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი მოვლენებიც. მაგალითად, მხოლოდ დანიაში (Rubin, et. Al., 2009) ვხვდებით ხანგრძლივ მოგზაურობას, იაპონიაში — სეიჯინშიკის ცერემონიასა (დაბადებიდან 20 წლის აღსანიშნად) და შიჩი-გო-სანის ფესტივალს (სამი და შვიდი წლის გოგონებისა და ხუთი წლის ბიჭების დღესასწაული) (Janssen, Uemiya, & Haka, 2014). ამასთან, ზოგიერთი კულტურის ცხოვრების სკრიპტში რელიგიური მოვლენებიც გვხვდება, მაგალითად, მექაში ვიზიტი მუსლიმებისთვის (Haque & Hasking, 2010).

ცხოვრების კულტურული სკრიპტები სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის

სხვადასხვა ასაკის ადამიანების ცხოვრების კულტურული სკრიპტების მსგავსების დასადგენად რამდენიმე კვლევაა ჩატარებული. ბონმა (Bohn, 2010) და ტეკანმა, კაია-კიზილოზმა და ოდამანმა (Tekcan, Kaya-Kiziloz & Odaman, 2012) მცირე განსხვავებები აღმოაჩინეს განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ხოლო ჯენსენმა და რუბინმა (2011) და ჯენსენმა და კოლეგებმა (2014) ვერ იპოვეს ასეთი განსხვავებები.

ტეკანმა და კოლეგებმა (Tekcan et al. 2012) აჩვენეს, რომ ხანშიშესული ადამიანები უფრო მეტ დადებით მოვლენას ასახელებდნენ, ვიდრე ახალგაზრდები. ამასთან, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიერ დასახელებული მოვლენები თითქმის ერთნაირი იყო. სხვა კვლევებში სრულიად საპირისპირო შედეგები მიიღეს: ხანშიშესულთა ჯგუფი, პირიქით, შედარებით მეტ უარყოფით მოვლენას ასახელებდა. ავტორების აზრით (Tekcan, et al. 2012), ახალგაზრდები რომ მოგონებათა შეჯახების ასაკში უფრო მეტ უარყოფით მოვლენას ასახელებდნენ, თურქული განათლების სისტემისა და იმ საკვანძო მოვლენების შედეგია, რომელთა გადალახვაც თურქეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს უწევთ.

კულტურული სკრიპტებისა და ცხოვრების ისტორიების თანხვედრა

რუბინმა და კოლეგებმა (2009) იკვლიეს კულტურული სკრიპტების და ცხოვრების ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების თანხვედრა ამერიკელებსა და დანიელებში. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დანიელების მიერ დასახელებული ზოგადი და პირად ცხოვრებაში მომხდარი თუ მოსალოდნელი მოვლენების 70% ემთხვეოდა ერთმანეთს, როდესაც ამერიკელებთან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა. ავტორების აზრით, ეს განსხვავება ამერიკისთვის დამახასიათებელი კულტურული მრავალფეროვნების შედეგია.

ჰათიბოღლუსა და ჰაბერმასის (2016) კვლევამ აჩვენა, რომ სტამბოლსა და კარაბუკში (ქალაქი თურქეთში) მცხოვრები ადამიანების სკრიპტები და პირად ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები გაცილებით ნაკლებად თანხვდებოდა ერთმანეთს, ვიდრე გერმანელებისა და გერმანიაში მცხოვრები თურქების. ეს მაჩვენებლები ასე გადანაწილდა: კარაბუკი — 38%, სტამბოლი — 36%, თურქი მიგრანტები — 46% და გერმანელები — 47%. ავტორების აზრით, ასეთი განსხვავება თურქეთში მცხოვრები ადამიანების მიერ საკუთარი ცხოვრების ისტორიაში დასახელებულმა უარყოფითი მოვლენების სიმრავლემ გამოიწვია.

კულტურული სკრიპტები და საზოგადო მოვლენები

რამდენიმე მკვლევარი დაინტერესდა, არსებობს თუ არა საზოგადო მოვლენების¹ კულტურული სკრიპტი (Koppel & Berntsen, 2014; Janssen, 2015a). კვლევის მონაწილეებს სთხოვდნენ, წარმოედგინათ მათივე სქესის იმავე კულტურაში მცხოვრები ჩვილი და შემდეგ ჩამოეწერათ ის შვიდი მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა, რომელიც ამ ჩვილის ცხოვრებაში მოხდებოდა დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა (Janssen, 2015a), რომ ადამიანებს არ აქვთ საზოგადო მოვლენების კულტურული სკრიპტი. მათ მიერ დასახელებული მოვლენების უმეტესობა ბავშვის დაბადებიდან პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში ხდებოდა, რაც მოგონებათა შეჯახების არსებობასაც გამორიცხავს. ასევე, სხვადასხვა საზოგადო მოვლენას არ ჰქონდა გამოვლენის რომელიმე კონკრეტული ასაკი და მათი მოხდენის ასაკს შორის დაშორებებიც ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე პირადი მოვლენების დასახელებისას. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები ხშირად ასახელებდნენ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მათ თავს გადახდენიათ, მაგალითად, დიდი ხანძარი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საჯარო მოვლენები ვერ იქნებოდა კულტურული სკრიპტი, რადგან ის არა საჯაროდ გაზიარებული ცოდნაა, არამედ საკუთარი გამოცდილებითაა შეძენილი.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევა მიზნად ისახავდა ქართული კულტურული სკრიპტის შემადგენელი მოვლენების შინაარსის, თანმიმდევრობისა და გამოჩენის დროის დადგენას. გარდა ამისა, კვლევის მიზანი იყო კულტურული სკრიპტის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების გამოვლენა, კერძოდ, არსებობს თუ არა და თუ არსებობს, რა განსხვავებებია კვლევის მონაწილეებს შორის სქესისა და ასაკის მიხედვით; ასევე, რამდენად თანხვდება ერთმანეთს ადამიანების მიერ პირად ცხოვრებაში განცდილი ან მოსალოდნელი მოვლენების ბუნება, დრო და თანმიმდევრობა პროტოტიპული სკრიპტის მათეულ ხედვას. კვლევის კიდევ ერთ მიზანს გამოვლენილი ქართული კულტურული სკრიპტის კროსკულტურული ანალიზი, კერძოდ, იმის გარკვევა წარმოადგენდა, რა ადგილი უკავია ქართველებისთვის ჩვეულ სკრიპტს სხვა (ამერიკულ, თურქულ, დანიურ და ა. შ.) კულტურებისთვის ტიპურ სკრიპტებს შორის.

აქედან გამომდინარე, ველოდით, რომ სხვა კვლევების მსგავსად, სტუდენტების მიერ დასახელებულ პერსონალურ და ზოგად მოვლენებს შორის უფრო ნაკლები თანხვედრა იქნებოდა, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. სხვა კულტურების მსგავსად, ქართულ კულტურაშიც ყველაზე ხშირად დასახელებული მოვლენები იქნებოდა ქორწინება, შვილის შეძენა და სკოლაში შესვლა. და ბოლოს, მოველოდით, რომ სხვადასხვა

¹ საზოგადო მოვლენები ჯენსენის (2015) განმარტებით ის მნიშვნელოვანი მოვლენებია, რომლებსაც ადამიანები საინფორმაციო გადაცემებსა თუ გაზეთებში ხვდებიან. ეს მოვლენები შეიძლება მოხდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ისინი მოიცავენ ისეთ თემებს, როგორცაა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამეცნიერო სიახლეები. ასევე, საზოგადო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს კატასტროფები, სპორტული თუ გასართობი მოვლენები და კრიმინალური დანაშაულის შემთხვევები. საზოგადო მოვლენებად არ ითვლება სამოქალაქო დღესასწაულები (აღდგომა, შობა, ახალი წელი) და პირადი მოვლენები (სკოლის დამთავრება, პირველი სამსახური, ქორწინება).

ასაკობრივი ჯგუფის მიერ დასახელებულ ზოგადი მოვლენების ჯგუფებს შორის მცირედი განსხვავება იქნებოდა.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევა ამოცანები იყო: (1) ქართულ კულტურულ სკრიპტში შემავალი მოვლენების იდენტიფიცირება; (2) იმის შემოწმება, რამდენად აკმაყოფილებს გამოვლენილი კულტურული სკრიპტის ქართული ვერსია კულტურული სკრიპტის კრიტერიუმებს; (3) სამ ასაკობრივი ჯგუფის შედარება დასახელებული ზოგადი და პირადი მოვლენების შინაარსის, გავრცელების, მოხდენის ასაკის, მნიშვნელოვნებისა და ემოციური ფონის მიხედვით; (4) ქალებისა და მამაკაცების შედარება დასახელებული ზოგადი და პირადი მოვლენების შინაარსის, გავრცელების, მოხდენის ასაკის, მნიშვნელოვნებისა და ემოციური ფონის მიხედვით; (5) დასახელებული მოვლენების პირადი და ზოგადი განზომილებების ურთიერთშედარება; (6) გამოვლენილი ქართული კულტურული სკრიპტის კროსკულტურული ანალიზი: ანალოგიური კვლევით მიღებულ სკრიპტებთან შედარება.

მეთოდი

კვლევა ნარატიული ფსიქოლოგიის და, კერძოდ, ცხოვრების კულტურული სკრიპტის იდენტობის თეორიულ ჩარჩოშია შესრულებული, ხოლო მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებული მეთოდი რაოდენობრივი. თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი სრულად შეესატყვისება ბერნცენისა და რუბინის ორი კვლევის (Berntsen & Rubin, 2004; Rubin, Berntsen & Hutson, 2009) და ჯენსენის და კოლეგების (2014) ორიგინალური კვლევის რეპლიკაციას,

ამრიგად, ბერნცენისა და რუბინის (2004) წლის კვლევიდან აღებულია კულტურული სკრიპტის გაზომვის მეთოდი, რუბინისა და კოლეგების (2009) კვლევიდან — პირადი მოვლენების გაზომვის მეთოდი, ხოლო ჯენსენისა და კოლეგების (2014) კვლევიდან — სქესისა და ასაკის მიხედვით გაზომვის მეთოდები. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა მაქსიმალურად ზუსტად იმეორებს ორიგინალური კვლევების მეთოდოლოგიასა და პროცედურას.

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 270 ადამიანმა (ცხრილი N1), რომელთაგან 50% (135) ქალი იყო. მონაწილეები დაიყო სამ ჯგუფად.

I ჯგუფს შეადგენდნენ ბაკალავრიატის სტუდენტები, რომელთა შერჩევა მოხდა 8 უნივერსიტეტიდან. შერჩევა იყო კვოტური და თითოეული უნივერსიტეტიდან შეირჩა 20 მონაწილე, 10 კაცი და 10 ქალი. მხოლოდ გორგასლის სასწავლო უნივერსიტეტიდან ვერ მოხერხდა 20 ადამიანის შეგროვება. შესაბამისად, მხოლოდ 10 რესპონდენტის შედეგები იქნა გამოყენებული. უნივერსიტეტები შემდეგი კრიტერიუმებით შეირჩა: (ა) სახელმწიფო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) და კერძო (თავისუფალი უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი); (ბ) დიდი (მაგალითად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 22000-ზე მეტი სტუდენტით) და მცირე (გორგასლის უნივერსიტეტი 700-მდე სტუდენტით) და (გ) თბილისის (თსუ, თავისუფალი უნივერსიტეტი) და რეგიონების (თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი) უნივერსიტეტები.

II ჯგუფში გაერთიანდნენ 40-45 წლის ადამიანები, ხოლო III ჯგუფში — 60-65 წლის ადამიანები.

კვლევის მონაწილეთა I ჯგუფის წარმომადგენლებიდან 150-ივე ბაკალავრიატის სტუდენტი გახლდათ. II ჯგუფში (N = 60) რესპონდენტთა 65%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა (5 წლიანი მაგისტრთან გათანაბრებული), 15%-ს — მაგისტრის ხარისხი, 11,7%-ს — ტექნიკური განათლება, 5%-ს კი — არასრული უმაღლესი. ასევე, ამ ჯგუფში მოხვდა 1 არასრული საშუალო განათლების მქონე (1,7%) და 1 ბაკალავრის ხარისხის მქონე (1,7%). III ჯგუფში (N = 60) კვლევის მონაწილეთა 75%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული (5 წლიანი, მაგისტრთან გათანაბრებული), 13,3%-ს — ტექნიკური საშუალო განათლება, 6,7%-ს — მაგისტრის ხარისხი, 3,3%-ს — არასრული უმაღლესი განათლება, 1,7%-ს კი — ბაკალავრის ხარისხი.

კვლევის მონაწილეებიდან (N = 270) უმრავლესობა (90%) თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლიდა. 4,1% თავს მიაწერდა ისლამს. ამდენივე ადამიანი (4,1%) არც ერთ რელიგიას მიაკუთვნებდა თავს. 3-მა (1,1%) მონაწილემ განაცხადა, რომ ყველა რელიგიას მიაკუთვნებდა თავს, 1-მა (0,4%) თავი აგნოსტიზმს მიაკუთვნა და ერთმაც (0,4%) განაცხადა, რომ ინდუისტი იყო. თუ თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე განვიხილავთ, I ჯგუფში (N = 150) 84,7% მართლმადიდებელი იყო, 6,7% მუსლიმი, 0,7% აგნოსტიკი, 2% ყველა რელიგიას მიაკუთვნებდა თავს, ხოლო 6% — არც ერთს. II ჯგუფში (N = 60) რესპონდენტთა 98,3% მართლმადიდებლად თვლიდა თავს, ხოლო 1,7% ინდუისტად. III ჯგუფში (N = 60) მონაწილეთა 95% მართლმადიდებელი იყო, 1,7% მუსლიმი, 3,3% კი — არც ერთ რელიგიას მიაკუთვნებდა თავს. მართლმადიდებელ მონაწილეთა 17,3%-მა განაცხადა, რომ სისტემატიურად ასრულებდა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. 56,8% — დროდადრო, 20% — იშვიათად, 2,1% საერთოდ არ აღასრულებდა, 3,3%-ს კი უჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. მუსლიმი რესპონდენტების 72,7% დროდადრო აღასრულებდა თავიანთი რელიგიისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს, ხოლო 27,3% — იშვიათად.

კვლევის მონაწილეთა (N = 270) 46,7% ამბობდა, რომ მათ კარგი საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ, 44,4%-ს — უფრო კარგი ვიდრე ცუდი, 7,8%-ს — უფრო ცუდი ვიდრე კარგი, 1,1%-ს კი — ცუდი. უნდა აღინიშნოს, რომ I ჯგუფში ყველაზე მეტად დაფიქსირდა პასუხი კარგი ცხოვრების პირობები (58%), ხოლო უფრო კარგი ვიდრე ცუდი მხოლოდ 36,7%-მა აღნიშნა. საპირისპირო ვითარება იყო II და III ჯგუფებში: უფრო კარგი, ვიდრე ცუდი ცხოვრების პირობები ჰქონდა 55%-ს (II ჯგუფი) და 53,3%-ს (III ჯგუფი), ხოლო კარგი ცხოვრების პირობები — 30%-ს (II ჯგუფი) და 35%-ს (III ჯგუფი).

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასმულ შეკითხვაზე რესპონდენტთა (N = 270) ნახევარზე მეტი (51,9%) წერდა, რომ მათი ჯანმრთელობა კარგია. მესამედზე მეტი (37,4%) აცხადებდა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო კარგია, ვიდრე ცუდი, 10% წერდა, რომ მათი ჯანმრთელობა უფრო ცუდია ვიდრე კარგი. ცუდი ჯანმრთელობა მხოლოდ ორმა რესპონდენტმა დააფიქსირა, ერთმა II ჯგუფიდან და ერთმა III ჯგუფიდან. საცხოვრებელი პირობების მსგავსად, ჯანმრთელობის შემთხვევაშიც I ჯგუფის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად ირჩევდნენ პასუხს კარგი (70,7% N=150), როდესაც II და III ჯგუფის შემთხვევაში ეს პასუხი 40%-მა და 16,7%-მა აირჩია. სამაგიეროდ ბევრად მაღალი იყო ამ ჯგუფებში მონიშნული უფრო კარგი, ვიდრე ცუდი ჯანმრთელობის მდგომარეობა, 48,3% II ჯგუფის (N=60) შემთხვევაში და

58,3% მესამე ჯგუფის (N=60) შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ III ჯგუფის წარმომადგენელთა 23,3%-მა დაწერა, რომ მათი ჯანმრთელობა უფრო ცუდი იყო, ვიდრე კარგი. ეს პასუხი აირჩია 6-მა ადამიანმა (10%) II ჯგუფიდან და 7-მა (4,7%) I ჯგუფიდან.

ცხრილი N1. კვლევის მონაწილეების სამი ჯგუფის ასაკობრივი განაწილება.

მონაწილეები	სულ	ქალები	საშუალო ასაკი	SD	კაცი	საშუალო ასაკი	SD
I ჯგუფი: სტუდენტები (18-25 წელი)							
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20	10	19.90	1.58	10	21.20	1.606
თავისუფალი უნივერსიტეტი	20	10	18.4	4	10	18.4	0.492
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	20	10	19.3	0.49	10	19.9	1.646
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	20	10	22	2	10	20.9	1.928
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	10	5	21	3	5	21.4	1.507
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი	20	10	20.6	8	10	21	2.105
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	20	10	19.4	1.17	10	19.8	1.405
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი	20	10	21.6	1.86	10	22	1.851
				1			
				0.49			
				2			
				2.01			
				7			
სულ სტუდენტები (18-25 წელი)	150	75	19.96	3.07	75	20.52	2.142
				1			
II ჯგუფი (40-45 წელი)							
	60	30	42.57	2.14	30	43.23	1.876
				2			
III ჯგუფი (60-65 წელი)							
	60	30	62.2	1.87	30	62.33	1.779
				1			

ინსტრუმენტები

ცხოვრების მოვლენების ჩამონათვალი. კვლევაში გამოყენებულ იქნა ბერნცენისა და რუბინის (Berntsen & Rubin, 2004; Rubin, Berntsen & Hutson, 2009) ქართულად

ადაპტირებული ინსტრუმენტი,² რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში კვლევის მონაწილეებმა უნდა ჩამოწერონ რიგითი ქართველის ცხოვრებაში მოსალოდნელი შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იმ მიმდევრობით, რომლითაც მოაფიქრდებათ. ამის შემდეგ თითოეული მოვლენისათვის უნდა დაწერონ მისი მოხდენის სიხშირე (100 ადამიანიდან რამდენის ცხოვრებაში მოხდება ეს მოვლენა ერთხელ მაინც?), მოვლენის მოხდენის ასაკი (რამდენი წლის იქნება ადამიანი როდესაც ეს მოვლენა მოხდება?). ასევე, ლაიკერტის 7 ქულიან სკალაზე უნდა შეაფასონ მოვლენის მნიშვნელოვნება (რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოვლენა?) და ვალენტობა (რამდენად დადებითი ან უარყოფითია ეს მოვლენა?).

მეორე ნაწილში მონაწილეები წერენ მათ პირად ცხოვრებაში მომხდარი შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რომელიც შემთხვევით დაბადებიდან კვლევის მომენტამდე. მოვლენების ჩამოწერის შემდეგ, თითოეული მოვლენისათვის წერენ მისი მოხდენის სიხშირეს (100 ადამიანიდან რამდენის ცხოვრებაში მოხდება ეს მოვლენა ერთხელ მაინც?), ასაკს (რამდენი წლის იყო იგი, როდესაც ეს მოვლენა მოხდა), მნიშვნელოვნებასა (რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენა მისთვის) და ვალენტობას (რამდენად დადებითი ან უარყოფითი იყო ეს მოვლენა მისთვის).

მონაწილეებისთვის კითხვარის ორი ნაწილის მიწოდების თანმიმდევრობა დაბალანსებულია: მათი ნახევარი ჯერ პასუხობს პირველ ნაწილს, შემდეგ მეორე ნაწილს. მეორე ნახევარს კი შებრუნებული ვარიანტი მიეწოდება: მათ ჯერ პირადი შვიდი მოვლენა უნდა დაწერონ და შემდეგ — შვიდი ზოგადი მოვლენა.

დემოგრაფიული მონაცემებიდან დაფიქსირდა მონაწილეების სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, პროფესია, დასაქმების ტიპი, რელიგიური კუთვნილება და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების სიხშირე, საცხოვრებელი პირობებისა და ჯანმრთელობის სუბიექტური შეფასება. გარდა ამისა, სტუდენტების შემთხვევაში მიეთითებოდა ის უნივერსიტეტი, რომელშიც სწავლობდნენ.

პროცედურა

ინფორმირებული თანხმობა. კვლევის მონაწილეები კითხვარის შევსებამდე კითხულობდნენ ინფორმირებული თანხმობის ფორმას. კვლევის პროცედურის, კვლევიდან გამოთიშვის და კონფიდენციალობის შესახებ ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში კვლევის მონაწილეები იღებდნენ დამატებით განმარტებას ინტერვიუერისგან. მხოლოდ თანხმობაზე ხელის მოწერის შემდეგ იწყებდნენ კითხვარის შევსებას.

საველე სამუშაოები. საველე სამუშაოები 2016 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა სამი კვირის განმავლობაში, თბილისში, თელავში, ბათუმსა და ქუთაისში. სამუშაოებს აწარმოებდა სტატისტიკის პირველი ავტორი და მისი ასისტენტი.

კვლევის პროცედურა. კვლევის მონაწილეებს ჯერ წარედგინებოდათ ინფორმირებული თანხმობის ფორმა, რომლის წაკითხვისა და ხელის მოწერის შემდეგაც

² ინსტრუმენტის ადაპტირების დეტალური აღწერისთვის იხ. *შედეგების აღწერა*.

ისინი იწყებდნენ კითხვარის შევსებას. მონაწილეთა ნახევარი ავსებდა ჯერ საზოგადო ნაწილს, შემდეგ პირადს, ხოლო მეორე ნაწილი პირიქით, ჯერ პირად მოვლენებს წერდნენ და შემდეგ საზოგადოს. ორივე შემთხვევაში დემოგრაფიული მონაცემები სულ ბოლოს ივსებოდა. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას საშუალოდ 10-15 წუთი სჭირდებოდა.

მოვლენების შინაარსობრივი კოდირება

პირველ რიგში, გადაკოდირდა სამივე ჯგუფის მიერ დასახელებული ზოგადი მოვლენები შეხვედრის მიმდევრობის მიხედვით, ხოლო მოვლენის გამეორების შემთხვევაში, მას უკვე არსებული კოდი ენიჭებოდა. მაგალითად, კოდი 1 მიენიჭა სკოლაში შესვლას, კოდი 24 — სკოლის დამთავრებას, კოდი 48 — სკოლაში სიარულს. შესაბამისად, მოვლენებს — სკოლაში შესვლა, სკოლაში წასვლა, სკოლაში მიიყვანენ, შეიყვანენ სკოლაში, დაიწყებს სკოლაში სიარულს — ყველას მიენიჭა კოდი „1“. მოვლენებს — დაამთავრებს სკოლას, მორჩება სკოლაში სწავლას, მორჩება სკოლას, დავამთავრე სკოლა, მოვრჩი სკოლაში სწავლას — მიენიჭა კოდი 24. რაც შეეხება კოდს 48, აქ გაერთიანდა შემდეგი მოვლენები: დავდიოდი სკოლაში, მიიღებს განათლებას სკოლაში, ივლის სკოლაში, სკოლის პერიოდი. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოვლენებს, რომლებსაც კოდი 48 მიენიჭა, რესპონდენტები უწერდნენ ასაკობრივ შუალედ (მაგალითად, 6-18 წელი), რაც ამ მოვლენის დაწყებისა და დამთავრების ასაკს მიუთითებდა, ხოლო სკოლაში წასვლასა და სკოლის დასრულების მოვლენებს (კოდი 1 და კოდი 24) მხოლოდ ერთი ასაკი ეწერათ: 6 წელი სწავლის დაწყების და 18 წელი სწავლის დამთავრების შემთხვევაში.

ამავე პრინციპით მოხდა სხვა კოდების მინიჭებაც. მაგალითად, გამოიყო გარდაცვალების რამდენიმე ვარიანტი. კოდი 67 მიენიჭა საკუთარ გარდაცვალებას, 38 — ახლობელი ადამიანის გარდაცვალებას, 58 — მშობლის გარდაცვალებას, 108 — მეუღლის გარდაცვალებას, ხოლო კოდი 194 — დედამამიშვილის დაღუპვას. უნდა აღინიშნოს, რომ კოდების დასახელებები მაქსიმალურად მიახლოებულია თავად იმ დასახელებებთან, რომლებსაც რესპონდენტები წერდნენ.

კოდირების ამ პროცედურის შედეგად დაგროვდა 378 კოდი. სწორედ ამ 378-მა კოდმა შეადგინა კოდების წიგნი. კოდირების სიზუსტის გადამოწმების მიზნით, ბერნცენისა და რუბინის (2004; Rubin et al. 2009) კვლევებში მონაცემებს ორი ადამიანი ერთმანეთის დამოუკიდებლად აკოდირებდა. ერთი ახდენდა სრულ კოდირებას, ხოლო მეორე მონაცემების მესამედის კოდირებით შემოიფარგლებოდა. შემდეგ ხდებოდა ამ გადაკოდირებული მონაცემების შედარება და, კოდირების სიზუსტის გარდა, მონაცემების სანდოობაც განისაზღვრებოდა.

შესაბამისად, მონაცემების მესამედი მეორე, ამ პროცედურაში გამოცდილმა ადამიანმა გადააკოდირა. მისთვის მიცემული მონაცემები შემთხვევითად შეირჩა. ვინაიდან მონაცემების მხოლოდ მესამედი გაკოდირდა განმეორებით, ორმაგად დამუშავდა 50 სტუდენტის პირადი (კოენის კაპა = .89) და ზოგადი (კოენის კაპა = .83) მოვლენები, II და III ჯგუფებიდან 20-20 რესპონდენტის მიერ მოწოდებული პირადი (შესაბამისად, კოენის კაპა = .81 და .87) და ზოგადი (შესაბამისად, კოენის კაპა = .89 და .88) მოვლენები. ამრიგად, სულ ხელთ არსებული 3780 მოვლენიდან ორმაგად გადაკოდირდა 1260 მოვლენა. ამ დროს გამოიყენებოდა კოდების წიგნში არსებული

კოდები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოვლენის შესაბამისი კოდი არ იყო შეტანილი კოდების წიგნში, მაშინ ამ მოვლენას ენიჭებოდა კოდი 0.

კვლევის შედეგების აღწერა

შედეგები რამდენიმე ნაწილად არის წარმოდგენილი: ჯერ მიმოხილულია ინსტრუმენტის ადაპტირების პროცესი, შემდეგ აღწერილია მოვლენების კოდირებასთან დაკავშირებული ეტაპები და პროცედურები. ბოლოს შემოთავაზებულია კვლევის ძირითადი შედეგების აღწერა, კერძოდ: ქართული კულტურული სკრიპტი, სკრიპტის კრიტერიუმები, ინდივიდუალური განსხვავებები სკრიპტის მიხედვით, განსხვავებები სკრიპტში ასაკისა და სქესის მიხედვით, პირადი და ზოგადი მოვლენების შედარება.

ინსტრუმენტის ადაპტირება

პირველ ამოცანას ორიგინალური ინსტრუმენტის ანალოგიური ქართული ინსტრუმენტის შექმნა წარმოადგენდა. ბერნცენისა და რუბინის (2004) ორიგინალური ინსტრუმენტის ადაპტაცია რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: თარგმანი, უკუთარგმანი, შედარება და პილოტი. ინსტრუმენტის ადაპტირებაზე ნებართვა თავად ბერნცენისგან³ იქნა მიღებული.

თარგმნი. თავდაპირველად ბერნცენისა და რუბინის (2004) კვლევაში გამოყენებული კითხვარის ორი დამოუკიდებელი თარგმანი (თ1 და თ2). თარგმანი შეასრულა ორმა მთარგმნელმა. ამის შემდეგ თ1 და თ2 ერთმანეთს შედარდა და მათი კომბინირებით მიღებულ იქნა ქართული (თ12) კითხვარის პირველი ვერსია, რომელიც უკვე მზად იყო პილოტირებისათვის.

პირველი პილოტირება ორ მიზანს ემსახურებოდა. პირველი, შემოწმებულიყო, რამდენად გასაგები იყო ნათარგმნი (თ12) ინსტრუქცია და თავად კითხვარის ტექსტი და, მეორე, მონაწილეებს უნდა ამოერჩიათ კითხვარის წყობის ორი შეთავაზებული ვარიანტიდან ერთ-ერთი (კითხვარების იდენტური შინაარსი, მაგრამ განსხვავებული ვიზუალური წყობა ჰქონდათ). ამ ეტაპზე კვლევაში თსუ-ის ათი მაგისტრანტი (6 ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, 2 ბიზნესისა და ეკონომიკის და თითო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებიდან) მონაწილეობდა. პირველმა პილოტირებამ აჩვენა, რომ მონაწილეებს დავალების გაგების პრობლემა არ ჰქონიათ, კითხვარებიდან კი მეორე ვერსიას მიაჩნჯეს უპირატესობა სიმარტივის გამო.

მეორე პილოტირებაში მონაწილეობდა 8 მაგისტრანტი (4 ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, ხოლო დანარჩენები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან). ამჯერად მათ შესავსებად მიეცათ კითხვარის მხოლოდ მეორე ვარიანტი. ამ შემთხვევაში მიზანი იყო იმის დადგენა, რამდენად მართებულად შეირჩა კითხვარის ეს ვარიანტი. რესპონდენტებმა უპრობლემოდ შეასრულეს დავალება. მათ სწორად გაიგეს კითხვები და სათანადოდაც უპასუხეს. შესაბამისად, კითხვარის ამ ვარიანტის შერჩევა მართებულად იქნა მიჩნეული.

უკუთარგმანი შემდეგი ეტაპი იყო, რომელიც ყველა იმ განსხვავების აღმოჩენას ისახავდა მიზნად, რაც ორიგინალის ქართულად თარგმნისას შეიძლება გაჩენილიყო.

³ Dorothe Berntsen, პროფესორი, აარუსის უნივერსიტეტი, დანია.

უკუთარგმანი შეასრულა ინგლისური ენის სპეციალისტმა, რომელსაც არ ჰქონდა წინასწარი ინფორმაცია სათარგმნი ტექსტის შინაარსზე.

ორიგინალის და უკუთარგმანის შედარება. ორიგინალი და უკუთარგმნილი კითხვარები ერთმანეთს შეადარა დოქტორმა მაკლინმა⁴, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა. შედარებისას მან გამოითქვა ერთადერთი შენიშვნა: უკუთარგმნილ ვარიანტში არსებული ფრაზის “Georgian Man” შესახებ, თუ რატომ არ ვახსენებდით ქართველ ქალებს. მაშინ მას განემარტა, რომ ქართულ თარგმანში ვხვდებით ფრაზას „რიგითი ქართველი“, რის შემდეგაც დოქტორმა მაკლინმა თქვა, რომ მეტი შენიშვნა არ ჰქონდა და შეიძლებოდა ქართულად თარგმნილი ინსტრუმენტის გამოყენება.

ცხოვრების ქართული სკრიპტი

სკრიპტის აღწერა: შინაარსი, თანმიმდევრობა და დროის განზომილება

კვლევის ძირითადი ნაწილის პირველი ამოცანა იყო ცხოვრების ქართული სკრიპტის დადგენა ბერნცენისა და რუბინის (2002) ორიგინალურ კვლევაში გამოყენებული კრიტერიუმებისა და პროცედურების მიხედვით. კოდირების შედეგად გამოვლინდა დასახელებული მოვლენების სია, რომელთაგან 32-მა მოვლენამ ცხოვრების ქართული სკრიპტი შეადგინა (იხ. ცხრილი N2). სკრიპტში მოხვდა ის მოვლენები, რომელიც კვლევის მონაწილეთა, სულ მცირე, 4%-მა დაასახელა. სკრიპტში შესატანი მოვლენების შერჩევის სწორედ ამ ეს კრიტერიუმი გამოიყენეს ბერნცენმა და რუბინმა (2004) ორიგინალურ კვლევაში და სხვადასხვა კულტურაში განხორციელებულ ყველა რეპლიკაციაში (მაგალითისთვის იხ. Rubin et al. 2009; Ottsen & Berntsen, 2013; Janssen et al. 2014).

ცხრილში N2 წარმოდგენილი 32 მოვლენიდან მხოლოდ 4 მოვლენაა უარყოფითი შინაარსის, ხოლო დანარჩენი კვლევის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს. უარყოფითად შეფასებული მოვლენებია: საკუთარი სიკვდილი, ახლობლის გარდაცვალება, პირველი იმედგაცრუება და მშობლების გარდაცვალება. უნდა აღინიშნოს, ამ ოთხი მოვლენის მოხდენის სტანდარტული გადახრები ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა დანარჩენი მოვლენებისა, კერძოდ: 15.40, 21.03, 15.38 და 10.02, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვლევის მონაწილეები მათ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მოელიან და ეს ასაკობრივი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. ერთადერთი მოვლენა, რომელსაც 10.02-ზე დიდი სტანდარტული გადახრა ჰქონდა, გახლავთ სიბერე (SD=10.39). სხვა სიტყვებით, ადამიანები სხვადასხვა ასაკში მოელიან სიბერის დადგომას ანუ სხვადასხვა ასაკს მიიჩნევენ ცხოვრების ამ ხანის დასაწყისად; თუმცა, თავად მოვლენა ემოციურად შეფასებულია, როგორც დადებითი (M=1.09).

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული დადებითი მოვლენების მოხდენის პერიოდის სტანდარტულ გადახრებსა და ამ მოვლენების ემოციური მნიშვნელობის საშუალოებს შორის გამოიკვეთა კავშირი. კერძოდ ის მოვლენები, რომლებიც დადებითადაა შეფასებული, უფრო მცირედ ასაკობრივ შუალედში ხდება, როდესაც უარყოფითი მოვლენების მოხდენა უფრო დიდ ასაკობრივ შუალედშია შესაძლებელი $r(32) = -.63, p < .001$. აქ გამოწვეულია სიბერე, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

⁴ Kate C. McLean, ასოცირებული პროფესორი, დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ.

სულ დასახელებული 1890 მოვლენიდან, ცხოვრების სკრიპტში მოხვდა მათი 82,1%, ხოლო დანარჩენი 17.9% განთავსდა კატეგორიაში „სხვა“. ეს ის მოვლენებია, რომელიც რესპონდენტთა 4%-ზე ნაკლებმა დაასახელა. თავად დასახელებული მოვლენები კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ($M = 6.34$; $SD = 1.01$) და მათი მოხდის სიხშირეც საკმაოდ დიდი აღმოჩნდა ($M = 78.27$; $SD = 22.99$).

კულტურული სკრიპტის კრიტერიუმების იდენტიფიცირება

კვლევის შემდეგი ამოცანა იმის შემოწმება იყო, რამდენად წარმოადგენს საზოგადო მოვლენათა მიღებული ჩამონათვალი ქართულ კულტურულ სკრიპტს. ამისათვის შემოწმდა, რამდენად აკმაყოფილებდა მიღებული ჩამონათვალი ცხოვრების კულტურული სკრიპტის კრიტერიუმებს (Janssen et al., 2014).

ცხოვრების კულტურულ სკრიპტს სამი ძირითადი მახასიათებელი აქვს: (1) დასახელებული მოვლენების უმეტესობა დადებითი შინაარსისაა; (2) დადებითი მოვლენების მოხდენას ძირითადად 15-30 წლის შუალედში ელოდებიან და (3) უარყოფითი მოვლენების მოხდენის ალბათობები თანაბრად არის გადანაწილებული მთელ ცხოვრებაზე (Janssen et al. 2014).


ცხრილი N 2. ქართული კულტურული სკრიპტის შემადგენელი მოვლენები.

მოვლენა	N	სიხშირე		ასაკი		მნიშვნელოვნება		ემოცია	
		M	SD	M	SD	M	SD	M	SD
ქორწინება	22	78.9	16.3	22.4	3.89	6.37	0.86	2.41	0.93
	0	3	7	8					
სკოლის დაწყება	14	95.0	10.7	6.00	1.01	6.42	0.73	2.34	0.89
	3	3	8						
შვილის შეძენა	13	77.0	17.8	23.8	5.24	6.71	0.59	2.75	0.69
	0	5	6	2					
სამსახურის დაწყება	12	63.0	23.8	22.7	3.93	6.52	0.76	2.45	1.17
	9	7	2	6					
უნივერსიტეტში ჩაბარება	12	71.8	17.6	18.0	0.82	6.28	0.90	2.36	0.89
	2	9	9	4					
სკოლის დამთავრება	74	84.4	18.9	17.4	1.45	6.3	0.95	2.45	0.62
	2	7	7						
ბაღში შესვლა	63	88.3	14.2	3.30	1.95	5.86	1.19	2.05	0.98
			6						
დაბადება (საკუთარი)	61	97.7	6.70	0.07	0.51	6.62	0.8	2.49	0.94
		7							
პირველი მეგობარი	45	85.2	19.0	7.67	5.23	6.58	1.01	2.42	1.31
			9						
სკოლაში სიარული	41	91.5	15.1	6.68	2.72	6.51	0.68	2.21	1.28
		9	7						
სიკვდილი	38	89.7	25.6	72.7	15.4	6.11	1.54	-	2.02

(საკუთარი)		1	8	4	0			0.56	
განათლების მიღება	36	80.9	19.5	9.22	9.94	6.47	0.85	1.97	1.69
(სკოლა და უნი)		7	9						
უნივერსიტეტის	35	64.2	18.7	18.6	2.42	5.91	1.22	2.23	0.84
წლები		9	6	6					
სიბერე	34	74.9	28.5	63.2	10.3	6.5	0.79	1.09	2.36
		1	6	9	9				
შვილიშვილის	33	71.6	17.4	50.1	7.29	6.52	0.76	2.82	0.88
შემენა		4	4	2					
პირველი	32	89.1	18.2	11.5	3.67	6.16	1.08	2.41	0.76
სიყვარული		9		3					
წარმატება კარიერაში	29	45.6	17.8	26.7	6.13	6.59	0.50	2.66	0.48
		9	4	6					
ნათლობა	29	89.6	12.4	4.14	6.53	6.59	0.91	2.62	0.73
		2	8						
ახლობლის	27	93.8	14.7	27.3	21.0	6.48	0.75	-	2.26
გარდაცვალება		9	2	0	3			1.31	
უნივერსიტეტის	25	69.8	17.9	21.8	1.81	6.52	0.96	2.5	1.25
დამთავრება			9	8					
შვილების გაზრდა	22	77.6	15.1	29.9	12.7	6.5	0.86	2.68	0.48
		8	9	5	0				
საზღვარგარეთ	22	40.4	20.0	26.1	12.5	5.77	1.38	2.27	1.12
მოგზაურობა		5	5	4	1				
ლაპარაკის დაწყება	21	98.9	3.16	2.52	5.41	6.71	0.46	2.48	0.81
ოჯახზე ზრუნვა	21	70.2	21.8	24.5	8.69	6.57	0.81	2.55	0.76
		4	8	7					
სიარულის დაწყება	20	98.4	3.13	1.20	0.52	6.5	0.95	2.5	0.83
		5							
პროფესიის არჩევა	18	80.6	18.5	16.0	4.26	6.61	0.69	2.33	0.84
		7	6	6					
პირველი	17	82.2	18.1	26.3	15.3	5.88	1.11	-	2.00
იმედგაცრუება		4	9	5	8			1.53	
გაზრდა (საკუთარი)	15	84.1	13.7	3.67	5.22	6.67	0.49	2.67	0.49
		3	3						
პენსიაზე გასვლა	15	90.8	12.8	63.3	2.44	5.53	2.03	1.07	1.34
		7	4	3					
საზოგადოებაში	12	67.6	23.3	20.4	9.53	6.5	0.67	2.17	0.94
თავის		7	1	2					
დამკვიდრება									
მშობლის	12	88.5	15.9	44.2	10.0	6.67	0.49	-	1.44
გარდაცვალება		8	9	5	2			2.42	
პირველი სექსი	11	90.6	14.3	14.2	1.35	6.27	0.91	2.00	1.16
		4	3	7					

კვლევის ქართველი მონაწილეები მიერ დასახელებული 1890 მოვლენის ანალიზმა აჩვენა, რომ მათი უდიდესი ნაწილი დადებითია (92.3%), უარყოფითი მოვლენები კი დარჩენილ 7.7%-ს შეადგენენ. გარდა ამისა, სურათზე N1 წარმოდგენილია დადებითი და უარყოფითი მოვლენების გადანაწილება, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ დადებითი მოვლენების ნახევარზე მეტი (51.4%) 15-30 წლის ასაკობრივ შუალედში ხვდება. 0-15 წლის შუალედში მოვლენების მესამედი (31.7%) მოხვდა. დარჩენილი ნაწილი კი თანაბრად გადანაწილდა მთელ ცხოვრებაზე. რაც შეეხება უარყოფით მოვლენებს, ისინი თანაბრად არის გადანაწილებული მთელ ცხოვრებაზე $\chi^2 = 119.66$ $p < .001$, კრამერის $V = .252$.

ამრიგად, მონაცემები აჩვენებს, რომ ქართული შერჩევაში კულტურული სკრიპტისათვის დამახასიათებელი სამივე ძირითად კრიტერიუმი სახეზეა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული კულტურული სკრიპტი ნამდვილად არსებობს.



სურათი N 1. დადებითი და უარყოფითი მოვლენების განაწილება წლების მიხედვით.

ინდივიდუალური განსხვავებები კულტურული სკრიპტის მიხედვით

ასაკი და ცხოვრების კულტურული სკრიპტი

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წევრებმა განსხვავებული სიხშირით დაასახელეს სკრიპტში შემავალი მოვლენები. I ჯგუფის მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული მოვლენებია: ქორწინება (14.00%), სკოლის დაწყება (10.8%) და უნივერსიტეტში ჩაბარება (9.6%). II და III ჯგუფის წარმომადგენლებმა ყველაზე ხშირად ერთი და იგივე სამი მოვლენა დაასახელეს, იმავე თანმიმდევრობით: ქორწინება (13.4% და 15.4%), შვილის შექმნა (10.3% და 9.2%) და სამსახურის დაწყება (8.2% და 8.7%) $\chi^2 = 103.435$, $p = .001$.

ინდივიდის ასაკსა და ცხოვრების კულტურულ სკრიპტში შემავალი ცხოვრებისეული მოვლენების მოხდენის მოლოდინს შორის მიმართების დასადგენად ოთხი ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი განხორციელდა, კერძოდ, შემოწმდა კავშირი, ერთი მხრივ, კვლევის მონაწილეთა ასაკსა და, მეორე მხრივ, მოსალოდნელი მოვლენის მოლოდინის სიხშირეს (ასიდან რამდენი ადამიანის ცხოვრებაში მოხდება მოცემული მოვლენა), ამ მოვლენის მნიშვნელოვნებასა (რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში) და ემოციურ შეფასებას (დადებითია, ნეიტრალურია თუ უარყოფითია ეს მოვლენა) შორის. ანალიზმა აჩვენა, რომ ჯგუფები ნამდვილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამ თვალსაზრისით $F(2, 2759.367) = 6.231, p = .002$. უფრო კონკრეტულად, 18-25 წლის ინდივიდები უფრო მეტად ელიან ცხოვრების კულტურულ სკრიპტში შემავალ მოვლენებს ($M = 81.85, SD = 19.883$), ვიდრე 40-45 ($M = 78.07, SD = 22.426, MD = 3.785, p = .014$) და 60-65 ($M = 78.07, SD = 22.264, MD = 3.786, p = .013$) წლის მონაწილეები.

ცხოვრების კულტურულ სკრიპტში შესული 32 მოვლენიდან თითოეულის შემთხვევაში არსებული ვითარების დასადგენად, თითოეული მოვლენისთვის ცალკე განხორციელდა ანალოგიური ოთხი ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი. 128 შემთხვევიდან მხოლოდ 5 შემთხვევაში დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება.

- ცხოვრების კულტურულ სკრიპტში შესული მოვლენების მოხდენის მოსალოდნელობის მიხედვით, სხვადასხვა ასაკობრივმა ჯგუფმა განსხვავებულად შეაფასა ორი მოვლენა: სიბერე ($F(2, 3713.889) = 5.907, p = .007$) და პირველი იმედგაცრუება ($F(2, 1734.679) = 13.287, p = .001$). აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფის ($M = 53.64, SD = 29.419$) წარმომადგენლები უფრო ნაკლებად მოელიან მოვლენა სიბერის მოხდენას რიგითი ქართველის ცხოვრებაში, ვიდრე პირველი ($M = 83.71, SD = 23.584, MD = -30.078, p = .017$) და მესამე ($M = 87.22, SD = 21.230, MD = -33.586, p = .017$) ჯგუფის წარმომადგენლები. რაც შეეხება პირველ იმედგაცრუებას, მესამე ჯგუფის წარმომადგენლები ($M = 57.50, SD = 15.00$) ბევრად ნაკლებად მოელიან მას ცხოვრებაში ვიდრე, მეორე ($M = 95.60, SD = 5.177, MD = -38.100, p = .001$) და პირველი ჯგუფის ($M = 86.25, SD = 12.221, MD = -28.750, p = .003$)
- ცხოვრების კულტურულ სკრიპტში შესული მოვლენების ადამიანის ცხოვრებისთვის მნიშვნელოვნების თვალსაზრისით, სამმა ასაკობრივმა ჯგუფმა განსხვავებულად შეაფასა მოვლენა სიბერე ($F(2, 2.250) = 4.360, p = .021$). უფრო კონკრეტულად, მას მესამე ჯგუფის წარმომადგენლები ($M = 6.89, SD = .333$) უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ($MD = .817, p = .036$), ვიდრე პირველი ჯგუფის წარმომადგენლები ($M = 6.07, SD = .997, p = .037$).
- ცხოვრების კულტურულ სკრიპტში შემავალი მოვლენების ემოციური შეფასების მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება გამოვლინდა უნივერსიტეტის წლების შემთხვევაში ($F(2, 2.439) = 4.046, p = .027$). ამ პერიოდს მესამე ჯგუფის წარმომადგენლები ($M = 2.73, SD = .467$) უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე პირველი ჯგუფის წევრები ($M = 1.89, SD = .963, MD = .838, p = .024$).

სხვა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ქართულ კულტურულ სკრიპტში არ დაფიქსირებულა.

სქესი და ცხოვრების კულტურული სკრიპტი

სქესის მიხედვით სკრიპტში შემავალ მოვლენებზე საუბრისას, პირველ რიგში, აღსანიშნავია მოვლენა *პირველი სქესი*. ეს მოვლენა დაასახელეს მხოლოდ მამაკაცებმა, ქალებს ის არ დაუსახელებიათ. ორი ჯგუფი ერთმანეთს შედარდა სკრიპტში შესული დანარჩენი 31 მოვლენის მოხდენის მოსალოდნელობის, მოხდენის ასაკის, მნიშვნელოვნებისა და ემოციური შეფასების მიხედვით. დამოუკიდებელი შერჩევების t-კრიტერიუმით განხორციელებულმა 124 შედარებიდან მხოლოდ 4 შემთხვევაში იქნა მიღებული სტატისტიკურად სანდო შედეგი, კერძოდ:

- ქალებმა და მამაკაცებმა მოვლენის მოხდენის განსხვავებული ასაკი ორი მოვლენის შემთხვევაში დაასახელეს. ეს მოვლენებია ქორწინება და შვილის შეძენა. ქალები უფრო ადრე მოელიან ქორწინებასა ($M = 21.36, SD = 3.582$) და შვილის შეძენას ($M = 22.09, SD = 4.054$), ვიდრე მამაკაცები ($M = 23.44, SD = 3.897$ და $M = 25.22, SD = 5.682$); $t(218) = -4.094, p < .001 [-3.078; -1.078]$ და $t(128) = -3.539, p = .001 [-4.889; -1.383]$.
- მოვლენების მნიშვნელოვნების მიხედვით ქალებმა და მამაკაცებმა განსხვავებულად შეაფასეს უნივერსიტეტის დამთავრება. ქალებისთვის ეს მოვლენა უფრო მნიშვნელოვანია ($M = 7.00, SD = .000$) ვიდრე მამაკაცებისთვის ($M = 6.37, SD = 1.065$), $t(18) = 2.585, p = .019 [.118; 1.145]$.

სხვა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის მიხედვით ქართულ კულტურულ სკრიპტში არ დაფიქსირებულა.

პირადი და ზოგადი მოვლენების ურთიერთმიმართება

პირადი მოვლენები

შემდეგ ამოცანას პირადი მოვლენებისა და კულტურული სკრიპტის მოვლენების თანხვედრის შემოწმება წარმოადგენდა. ამისათვის, პირველ რიგში შეჯამდა პირად ცხოვრებაში დასახელებული მოვლენები. პირადი მოვლენების შემთხვევაში ყველაზე ხშირად დასახელებული კატეგორია აღმოჩნდა „სხვა“ (34.9%), ხოლო დანარჩენი მოვლენები ცხრილში N2 მოცემულ 31 კატეგორიაში გადანაწილდა 4%-იანი შერჩევის პრინციპით (იხ. ცხრილი N3). დასახელებული მოვლენებიდან 21 დაემთხვა კულტურული სკრიპტის მოვლენებს. ყველაზე ხშირად დასახელებული მოვლენები ამ შემთხვევაში აღმოჩნდა უნივერსიტეტში ჩაბარება, სკოლის დაწყება, სკოლის დამთავრება, ქორწინება და შვილის შეძენა. რაც შეეხება იმ 10 მოვლენას, რომელიც პირადი მოვლენებისას 4%-ზე მეტ შემთხვევაში დასახელდა და სკრიპტში არ შევიდა, ესენია: ეროვნული გამოცდების ჩაბარება, დედამამიშვილის შეძენა, ჯარში წასვლა, ახლობელი ადამიანის დაბადება, შეყვარებულობის პერიოდი, პირველი მანქანა, მართვის მოწმობის აღება, უნივერსიტეტის შიდა გამოცდის ჩაბარება, წარმატება სპორტში და სახლის შეძენა.

რაც შეეხება პირადი და ზოგადი მოვლენების თანხვედრას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ასაკობრივი ჯგუფი სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა პირადი მოვლენების ჩამონათვალში ამ ზოგადი მოვლენის შესვლაზე. ცხრილში N4 წარმოდგენილია ეს მოვლენები.

პირადი და ზოგადი მოვლენების თანხვედრის ანალიზისას სქესის მიხედვით გამოვლინდა მხოლოდ ერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება პირველი სიყვარულის შემთხვევაში $\chi^2 = 5.262$, $df = 1$, $p = .022$. ქალების მიერ ზოგად მოვლენებში დასახელებული პირველი სიყვარული ბევრად უფრო ხშირად გვხვდებოდა, ვიდრე პირად მოვლენებში, ხოლო კაცებთან პირველი სიყვარული ზოგად მოვლენად უფრო იშვიათად ეწერა, პირადად კი უფრო ხშირად.

ცხრილი N 3. პირადი მოვლენები, რომელიც დაასახელა კვლევის მონაწილეთა, სულ მცირე, 4%-მა.

მოვლენა	N	სიხშირე		ასაკი		მნიშვნელოვნება		ემოცია	
		M	SD	M	SD	M	SD	M	SD
უნივერსიტეტში									
ჩაბარება	181	63.91	25.86	18.01	1.80	6.64	0.57	2.54	0.76
სკოლის დაწყება	109	93.67	15.96	6.42	1.67	6.41	0.76	2.29	0.94
სკოლის დამთავრება	102	87.66	15.90	17.34	1.95	6.55	0.67	2.51	0.64
ქორწინება	102	77.29	16.77	23.90	5.73	6.60	0.76	2.67	0.81
შვილის შეძენა	97	72.66	17.94	25.46	6.68	6.86	0.38	2.89	0.35
სამსახურის დაწყება	79	64.49	27.26	22.97	5.10	6.51	0.75	2.51	0.70
პირველი მეგობარი	70	78.39	24.01	12.36	9.00	6.66	0.61	2.64	0.66
საზღვარგარეთ									
მოგზაურობა	45	41.64	22.43	21.64	8.98	6.13	0.97	2.49	0.59
პირველი სიყვარული	35	84.40	20.44	14.86	4.16	6.17	0.92	2.27	0.84
ბაღში შესვლა	35	65.26	13.51	4.17	6.11	5.57	1.34	1.94	1.13
								-	
ახლობლის					11.7			2.3	
გარდაცვალება	34	72.32	28.12	21.59	8	6.53	0.86	0	1.70
ეროვნული გამოცდები	28	66.11	23.38	18.32	1.79	6.64	0.62	2.36	0.91
								-	
					14.7			2.4	
მშობლის გარდაცვალება	27	72.85	27.51	30.11	6	6.89	0.32	8	1.60
დაბადება	27	97.96	6.83	1.59	4.78	6.59	1.37	2.81	0.49
ნათლობა	26	80.08	21.25	8.50	6.56	6.85	0.46	2.73	0.60
სკოლაში სიარული	24	83.75	28.88	6.54	1.47	6.25	0.85	2.35	1.07
დედმამიშვილის შეძენა	21	60.24	24.62	8.15	6.47	6.86	0.36	2.81	0.40
შვილიშვილები	18	64.00	21.73	49.83	6.20	6.89	0.32	2.56	1.42
ჯარში წასვლა	18	40.28	24.10	19.44	2.09	6.06	1.21	2.00	1.70
უნივერსიტეტის წლები	17	67.88	14.56	18.12	1.36	6.53	0.62	2.41	1.23
ახლობელი ადამიანის									
შეძენა	14	58.21	26.36	22.64	8.96	6.86	0.54	2.93	0.27

უნივერსიტეტის დამთავრება	14	72.86	24.94	22.5	2.65	6.86	0.36	2.79	0.43
შეყვარებულობა	14	72.43	27.98	18.36	2.21	6.79	0.43	2.87	0.36
წარმატება კარიერაში	13	58.62	27.09	31.85	8.53	6.54	0.66	2.38	1.66
პირველი მანქანა	12	50.00	25.76	21.83	4.59	6.75	0.62	2.75	0.45
მართვის მოწმობა	12	73.92	19.66	18.17	0.72	6.67	0.65	2.67	0.49
					10.8				
სიყვარული	12	86.92	14.69	21.08	0	6.42	0.79	2.58	0.67
უნივერსიტეტის გამოცდა	11	53.55	27.08	18.45	1.21	6.82	0.60	2.70	0.48
წარმატება სპორტში	11	35.00	23.00	14.64	2.54	6.09	0.94	2.64	0.51
სახლის ყიდვა	11	55.27	29.98	30.82	9.68	6.64	0.50	2.73	0.47
პროფესიის არჩევა	11	68.64	22.81	21.27	9.98	6.64	0.67	2.73	0.47

ცხრილი N 2. პირად და ზოგად მოვლენებს შორის არსებული განსხვავებები ასაკის მიხედვით.

მოვლენა	χ^2	df	p
ქორწინება	37.322	2	< .001
წარმატება კარიერაში	11.504	2	= .003
შვილის შექმნა	25.970	2	< .001
სიბერე	6.801	2	= .033
უნივერსიტეტის დამთავრება	10.008	2	= .007
სამსახურის დაწყება	14.594	2	= .001
პენსიაზე გასვლა	8.686	2	= .013
ოჯახზე ზრუნვა	18.078	2	< .001
შვილიშვილის შექმნა	14.875	2	= .001

ქართული კულტურული სკრიპტი მულტიკულტურულ კონტექსტში

წინამდებარე კვლევის ბოლო მიზანს წარმოადგენდა კვლევაში გამოვლენილი ცხოვრების ქართული კულტურული სკრიპტის იმ კულტურული სკრიპტების კონტექსტში განხილვა, რომელიც სხვა ქვეყნებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგად იქნა მიღებული, კერძოდ, დანიური, ამერიკული, თურქული და იაპონური კულტურული სკრიპტები, რომლებიც აღებულია ბერნცენისა და რუბინის (2004), რუბინისა და კოლეგების (2009), ერდოლანისა და კოლეგების (2008) და ჯენსენისა და კოლეგების (2014) კვლევებიდან.

თითოეული ქვეყნის შემთხვევაში დასახელებული მოვლენების რაოდენობა განსხვავდება. საქართველოში ვხვდებით 32 მოვლენას, დანიაში — 35-ს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 24-ს, ხოლო თურქეთში — 27.

დასახელებული მოვლენებიდან 11 ოთხივე ქვეყნის კულტურულ სკრიპტში გამოვლინდა. ქართველების მიერ დასახელებული ქორწინებისა და შვილის შექმნის საშუალო ასაკები უფრო მცირეა დანარჩენი ქვეყნების შედეგებთან შედარებით. ასევე, ქართველების მიერ დასახელებულია 6 ისეთი მოვლენა, რომლებიც სხვა კულტურებში არ გვხვდება. ესენია: განათლების მიღება (სკოლისა და უნივერსიტეტის პერიოდი

ერთად), უნივერსიტეტის წლები, სიბერე, შვილების გაზრდა, საკუთარი გაზრდა. ყველა ეს მოვლენა ცხოვრების პერიოდს უფრო წარმოადგენს, ვიდრე კონკრეტულ მოვლენას.

დანარჩენ 4 სკრიპტში ვხვდებით ისეთ მოვლენებს, რომლებიც ქართულ სკრიპტში არ არის. მაგალითად: გარდატეხის ასაკი და სახლის დატოვება/დამოუკიდებელი ცხოვრება. ეს მოვლენა დანიასა და ამერიკაში შეაფასეს დადებითად, ხოლო თურქეთში უარყოფითად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ქართველებმა რამდენჯერმე დაასახელეს, თუმცა, ის სკრიპტში არ მოხვედრილა. რაც შეეხება გარდატეხის ასაკს, ის მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაასახელა.

შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის ძირითად მიზანს ქართული კულტურული სკრიპტის და მისი ძირითადი მახასიათებლების დადგენა წარმოადგენდა. ასევე, კვლევა მიზნად ისახავდა იმის შემოწმებას, რამდენად უნივერსალურია ბერნცენისა და რუბინის (2004) სკრიპტის ცნება; ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლების კულტურულ სკრიპტზე გალენის დადგენას, როგორცაა ასაკი და სქესი; და რა მიმართებაშია ერთმანეთთან ადამიანების პირად ცხოვრებაში მომხდარი/მოსალოდნელი და ზოგადი მოვლენები.

ცხოვრების ქართული კულტურული სკრიპტი:

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქართულ კულტურულ სკრიპტში 32 მოვლენა შედის. ამ მოვლენების უმეტესობა (N = 28) დადებითი შინაარსისაა, ხოლო 4 უარყოფითი. მათი უმეტესობის მოხდენა მოსალოდნელია 15-30 წლის შუალედში. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების მიერ დასახელებული უარყოფითი მოვლენების რაოდენობა მხოლოდ ოთხია, მათი მოხდენის ასაკის საშუალო კონკრეტულად არ არის განთავსებული ერთ რომელიმე ასაკობრივ ჯგუფში, ის მთელ ცხოვრებაზე თანაბრადაა განაწილებული (იხ. სურათი N1). ეს სამი კომპონენტი წარმოადგენს კულტურული სკრიპტის არსებობის აუცილებლობას და მათი არსებობა აჩვენებს, რომ ნამდვილად სახეზეა ქართული კულტურული სკრიპტი. აქვე უნდა აღინიშნოს, სკრიპტის აღნიშნული თავისებურებები სრულად თანხვდება ბერნცენისა და რუბინის (2004) ორიგინალურ და სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებში (Erdogan et al. 2008, Janssen et al. 2014, Hatiboglu & Habermass, 2016) მიღებულ შედეგებს. აქედან გამომდინარე, ნამდვილად შეგვიძლია ვისაუბროთ ქართველებისთვის დამახასიათებელ ცხოვრების კულტურულ სკრიპტზე დანიური, ამერიკული, თურქული, გერმანული, იაპონური და ა. შ. სკრიპტების გვერდით.

სკრიპტში შესული 32 მოვლენიდან პირველი ათი დადებითი შინაარსისაა და მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე ვხვდებით პირველ უარყოფით მოვლენას, საკუთარ სიკვდილს. ქართულ სკრიპტში ვხვდებით კიდევ ორ სიკვდილს, რომლებიც, ასევე, უარყოფითადაა შეფასებული. ესენია მშობლების და ახლობლის გარდაცვალება. აქ აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით (Berntsen & Rubin, 2004; Rubin et al. 2009, Erdogan et al. 2008, Janssen et al. 2014), ქართულ სკრიპტში ვერ მოხვდა მეუღლის გარდაცვალება. თავად ეს მოვლენა სულ სამმა რესპონდენტმა დაასახელა 270-დან. მეოთხე უარყოფითი მოვლენა, რომელიც ქართველებმა დაასახელეს, პირველი იმედგაცრუებაა, რომელიც გვხვდება დანიურ სკრიპტშიც.

განსხვავებით სხვა ქვეყნების შედეგებისაგან (Berntsen & Rubin, 2004; Rubin et al. 2009, Erdogan et al. 2008, Janssen et al. 2014), პენსიაზე გასვლა ქართველებმა დადებით

მოვლენად მიიჩნის. შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ქართველებში ეს კავშირშია მოვლენა სიბერესთან და მოვლენა შვილიშვილების შეძენასთან. რესპონდენტებმა ეს მოვლენებიც დადებითად შეაფასეს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ეს ორი მოვლენა გააერთიანა კიდევაც და ერთ მოვლენად ჩაწერა: სიბერე და შვილიშვილები. სხვებიც ხშირად ამ ორ მოვლენას ერთმანეთის შემდეგ წერდნენ. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ შვილიშვილებზე ზრუნვის მოლიდინია ის ფაქტორი რის გამოც ეს ადამიანები პენსიაზე გასვლას და სიბერეს დადებითად აფასებენ.

მოვლენების ემოციურად შეფასებისას რესპონდენტები, უმეტესად, მკვეთრ ემოციებს იყენებდნენ. არც ერთი მოვლენა არ მოხვედრილა [-1; 1] შუალედში, რის გამოც ქართულ სკრიპტში ნეიტრალური მოვლენები არ გვაქვს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველები ყველაფერს რადიკალურად ვაფასებთ და ჩვენთვის მხოლოდ თეთრი ან შავი არსებობს.

ქართველების მიერ დასახელებული პირველი 4 მოვლენა, ფაქტობრივად, იმეორებს თურქების მიერ (Erdogan et al. 2008) დასახელებულ 4 მოვლენას (იხ. ცხრილი N5). თუმცა, შემდეგ უკვე განსხვავებები იწყება.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ქართულ კულტურულ სკრიპტში შესული ისეთი მოვლენები, როგორცაა: სკოლის პერიოდი, უნივერსიტეტის წლები, ოჯახზე ზრუნვა, გაზრდა (საკუთარი), სიბერე. ისინი მოვლენებზე მეტად უფრო გარკვეული პერიოდებია და სხვა ქვეყნების სკრიპტებში, ფაქტობრივად, არ გვხვდება. საინტერესოა თუ რითია გამოწვეული ეს ფაქტი, და რატომ საუბრობენ ქართველები ასე აქტიურად არა მარტო ცხოვრების მოვლენებზე, არამედ ცხოვრების პერიოდებზე. თუმცა, თუ კი ქართულ სკრიპტს მოხდენის ასაკის მიხედვით დავალაგებთ მივიღებთ, რომ ადამიანი შედის სკოლაში, დადის სკოლაში, ამთავრებს სკოლას, აბარებს უნივერსიტეტში, რომელსაც მოჰყვება უნივერსიტეტის წლები, უნივერსიტეტის დამთავრება, სასახურის დაწყება, ოჯახის შვილის შეძენა და ოჯახზე ზრუნვა. ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ მოვლენები და პერიოდები ერთმანეთში გადადის და, ფაქტობრივად ერთ ცხოვრების ისტორიას ქმნის. ის, თუ რატომ გვხვდება ქართულ სკრიპტში ასეთი შემთხვევები ასე ხშირად, დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი, რომ ჩვენთან საკმაოდ ხშირად გვხვდება მოვლენების დასასრული. მაგალითად: სკოლის დამთავრება, უნივერსიტეტის დამთავრება. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა იანსენ (Janssen et al. 2014) და ყატარის (Ottsen & Rubin, 2013) სკრიპტებშიც; თუმცა არც დანიურ (Berntsen & Rubin, 2004), ამერიკულ (Rubin et al. 2009) და თურქულ (Erdogan et al. 2008) სკრიპტებში მსგავსი მოვლენები არ გვხვდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლურ კულტურებში ადამიანებზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მოვლენის დასასრული და არა მისი დაწყება, თუმცა, ის ფაქტი რომ თურქულ სკრიპტში მსგავსი მოვლენა არ გვხვდება ამ ფაქტს ექვეყნებ აყენებს. შესაძლებელია მომავალში გარკვეული კვლევების ჩატარება ამ მიმართულებით.

ასაკის გავლენა კულტურულ სკრიპტზე

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ 3 ასაკობრივი ჯგუფი განსხვავებულად აფასებს კულტურული სკრიპტის რამდენიმე მოვლენას. პირველი ჯგუფის მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული მოვლენებია ქორწინება, სკოლის დაწყება უნივერსიტეტში ჩაბარება. მათგან განსხვავებით მეორე და მესამე ჯგუფის წარმომადგენლები

ასახელებენ: ქორწინებას, შვილის შეძენას და სამსახურის დაწყებას. პირველ ჯგუფსა და დანარჩენ ორ ჯგუფს შორის ასეთი განსხვავების გამომწვევ მიზეზად მიმაჩნია ამ ადამიანების პირადი გამოცდილება. მართალია, სტუდენტების უმეტესობა არ იყო დაოჯახებული, თუმცა, ქორწინება როგორც სამომავლო მოვლენა მათ მაინც მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. რაც შეეხება სამსახურის დაწყებასა და შვილის შეძენას, ამ შემთხვევაში ისინი კვლავ პირად გამოცდილებას იყენებდნენ და წერდნენ იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მათ უკვე გამოსცადეს საკუთარ თავზე.

პირადი და ზოგადი მოვლენების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ქორწინებას ზოგად მოვლენებში, ვიდრე საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ ან მოსალოდნელ მოვლენათა რიცხვში. ამის ერთ-ერთი სავარაუდო ახსნა ის შეიძლება იყოს, რომ პირველი ჯგუფის წევრები ძალიან ახალგაზრდები არიან ($M = 19.96$) და თითქმის არც ერთი მათგანი ჯერ არ არის დაქორწინებულები. ის ფაქტი, რომ ისინი სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო ხშირად ასახელებენ ქორწინებას და, ასევე ის, რომ მიაჩნიათ ქორწინება უფრო მეტი ადამიანის ცხოვრებაში მოხდება, შეგვიძლია ჩავთვალოთ მათი პირადი მომავალი ცხოვრების მოლოდინად, რომ დაქორწინდებიან. კულტურული სკრიპტი მომავალი ცხოვრების მოლოდინებსაც გვიქმნის (Janssen et al, 2015).

პირველი იმედგაცრუების შემთხვევაში გამოჩნდა, რომ მესამე ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ნაკლებად მოსალოდნელად მიიჩნევდნენ მას, ვიდრე პირველი ჯგუფის წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ადამიანები, გარკვეულწილად, თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობიან ამ მოვლენაზე საუბრისას.

სქესის გავლენა კულტურულ სკრიპტზე

კულტურულ სკრიპტზე საკმაოდ საინტერესო გავლენას ახდენს სქესი. მართალია, ეს გავლენა მხოლოდ რამდენიმე მოვლენით შემოიფარგლება, თუმცა, განსხვავება თვალში ადვილად გვხვდება. ქორწინებისა და შვილის გაჩენის შემთხვევაში ქალები და მამაკაცები ამ მოვლენის მოხდენის ასაკს განსხვავებულად აფასებდნენ. ქორწინების შემთხვევაში ასაკობრივი სხვაობა 2 წელი იყო. მონაცემების მიხედვით, ქალები უფრო ადრე ქორწინდებიან, შვილის გაჩენის შემთხვევაში კი ეს სხვაობა 3 წელს აღწევდა. ამ შემთხვევაშიც ქალები უფრო ადრე აჩენდნენ შვილებს, ვიდრე მამაკაცები.

ქორწინებასა და შვილის გაჩენაზე საუბრისას გამოვლინდა კიდევ ერთი საინტერესო მომენტი. ქალებთან ამ ორი მოვლენის მოხდენის ასაკის საშუალოებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთ წელს შეადგენს, რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ისინი გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ შვილის შეძენას ელოდებიან. მამაკაცებთან ეს სხვაობა ცოტა უფრო დიდია და თითქმის ორ წელს შეადგენს.

პირადი და ზოგადი მოვლენების შედარება

პირადი და ზოგადი მოვლენების ერთმანეთისათვის შედარებისას გამოვლინდა, რომ მონაწილეების მიერ დასახელებული პირადი მოვლენებიდან 21 კატეგორია ემთხვევა კულტურულ სკრიპტში შემავალ მოვლენებს.

როდესაც ეს მოვლენები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდა, გამოჩნდა, რომ სტუდენტების ჯგუფი სკრიპტში ასახელებდა ისეთ მოვლენებს, რომლებიც მათ პირად ცხოვრებაში არ მომხდარა და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო. ეს მოვლენებია: ქორწინება, წარმატება კარიერაში, შვილის შეძენა, სიბერე,

უნივერსიტეტის დამთავრება, სამსახურის დაწყება, პენსიაზე გასვლა, ოჯახზე ზრუნვა და შვილიშვილის შექმნა. რა თქმა უნდა, ასეთი განაწილება საკმაოდ ლოგიკურია, რადგან ამ მოვლენების უმეტესობა ბევრად უფრო გვიან ხდება, ვიდრე პირველი ჯგუფის წარმომადგენლები არიან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ კულტურული სკრიპტი სემანტიკური ცოდნაა და ის თაობიდან თაობას გადაეცემა (აქ ჯენსენი გინდა). სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ, რომ სტუდენტები წერენ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მათ ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარა, თუმცა, მათ იციან რომ ეს მოვლენები ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად მოხდება.

კროს-კულტურული ანალიზი

კვლევაში ერთმანეთს შედარდა რამდენიმე ქვეყნის კულტურული სკრიპტი. როგორც გამოჩნდა, 5 ქვეყნის სკრიპტში 11 მოვლენა საზიაროა. ასევე, დასახელების რაოდენობის მიხედვით თითქმის ყველგან ყველაზე ხშირად გვხვდება მოვლენები: სკოლაში შესვლა, ქორწინება და შვილის შექმნა (Berntsen & Rubin, 2004; Erdogan et al. 2008; Rubin et al, 2009; Janssen et al. 20014).

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართულ სკრიპტში გამოვლინდა განსხვავება ქორწინების საშუალო ასაკთან დაკავშირებით. თუ სხვა ქვეყნებში ეს საშუალოები 26-30 წლებს შორის მერყეობს (Berntsen & Rubin, 2004; Erdogan et al. 2008; Rubin et al, 2009; Janssen et al. 20014წ), ჩვენთან ქორწინების საშუალო ასაკი 22.48 წელია.

მოვლენების დასახელებების რაოდენობით ქართველების მიერ დასახელებული მოვლენების რაოდენობა ემთხვევა გერმანელების (Habermas, 2007) რაოდენობას და მხოლოდ ერთით განსხვავდება იაპონელების (Janssen et al. 2014) მიერ დასახელებული 31 მოვლენისგან.

ქართველების მიერ დასახელებული მოვლენები, გარკვეულწილად, განსხვავდება სხვა ქვეყნის მოვლენებისაგან. კერძოდ, ჩვენთან უფრო ხშირად ასახელებენ ცხოვრების პერიოდს: სკოლაში სიარული, უნივერსიტეტის წლები, სიბერე, ოჯახზე ზრუნვა. მსგავსი მოვლენებიდან მხოლოდ ერთი სკოლაში სიარული გვხვდება დანიელების კულტურულ სკრიპტში (Berntsen & Rubin, 2004).

კვლევის შედეგად მხოლოდ ქართველებისათვის დამახასიათებელი რაიმე მოვლენა არ გამოვლენილა, თუმცა, უნდა აღინიშნოს ნათლობა, რომელიც ჩვენთან ბევრად უფრო ხშირად დაფიქსირდა, ვიდრე დანიელებთან. ასევე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჯარში წასვლა, რომელიც მხოლოდ ათმა რესპონდენტმა დაასახელა და მხოლოდ ერთი დასახელება დააკლდა, რომ კულტურულ სკრიპტში შესულიყო. ამ მოვლენას ასახელებენ თურქები (Erdogan et al. 2008), თუმცა, სხვა ქვეყნებში ის არ გვხვდება.

რაიმე განსაკუთრებული ქართული დღესასწაული ან ტრადიცია ქართულ სკრიპტში არ დასახელებულა. საინტერესოა, რომ იაპონელებთან ეს იყო ტრადიციული ფესტივალები, თურქებთან და ყატარელებთან — რელიგიური დღესასწაულები. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ერთმა მონაწილემ ზოგად მოვლენად აღნიშნა პირველი თამაღობა.

დასკვნა

მოცემულ კვლევას რამდენიმე მიზანი ჰქონდა. პირველ რიგში ეს იყო ქართული კულტურული სკრიპტის დადგენა. როგორც კვლევის შედეგად დადგინდა ქართულ

კულტურულ სკრიპტში 32 მოვლენა შედის. მონაწილეების მიერ დასახელებული მოვლენებიდან 4 უარყოფითი შინაარსისაა, ხოლო დანარჩენი ოცდარვა დაებით შინაარსს ატარებს. ხუთი ყველაზე ხშირად დასახელებული მოვლანაა: ქორწინება, სკოლის დაწყება, შვილის შექმნა, სამსახურის დაწყება და უნივერსიტეტში ჩაბარება.

კვლევისას, ასევე, შემოწმდა თავად სკრიპტის არსებობისათვის აუცილებელი სამი კომპონენტი: (1) ქართველი მონაწილეები, უცხოელების მსგავსად უფრო ხშირად ასახელებდნენ დადებით მოვლენებს, (2) ამ დადებით მოვლენების მოხდენის მოსალოდნელ ასაკად ძირითადად ასახელებდნენ 15-30 წლების შუალედს და (3) უარყოფითი მოვლენები თანაბრად იყო განაწილებული მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამრიგად, მოცემული კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ კულტურული სკრიპტი ქართულ რეალობაშიც არსებობს და ის გარკვეულად განსხვავდება სხვა კულტურების სკრიპტებისაგან.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო პერსპექტივები

კვლევის ძირითად შეზღუდვას კვლევის მონაწილეთა რაოდენობა ქმნის, კერძოდ, მეორე და მესამე ჯგუფის წარმომადგენლების რიცხვი მცირეა (60-60 მონაწილე თითო ჯგუფში). სამომავლო კვლევებში უმჯობესი იქნება უფრო მეტი მონაწილის ჩართვა.

რაც შეეხება სამომავლო კვლევას, შემდეგი ნაბიჯები წინამდებარე კვლევაში მიღებული ქართული კულტურული სკრიპტის ვალიდაციას მოიცავს. უფრო კონკრეტულად, კვლევის შემდგომი მიმართულებაა (ა) წინამდებარე კვლევის რეპლიკაცია მსგავს შერჩევებზე და (ბ) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უცირესობებისა და ქართველი ემიგრანტების კულტურული სკრიპტების კვლევა და შედარებითი ანალიზი.

მადლობა

მოცემული კვლევა პირველი ავტორის პირველი სერიოზული ნამუშევარია, რომელიც მან სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განახორციელა. მადლობის ნაწილიც, შესაბამისად, ექსკლუზიურად მას ეკუთვნის.

პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ნათლიას, ირაკლი დიასამიძეს და ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორს ბატონ ომარ გვეტაძეს. მათი უზრუნველყვეს ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტებში კვლევის ჩატარება და შემდეგ შევსებული კითხვარების ჩემთვის მოწოდება. ასევე, უღმესი მადლობა თელავის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნანა რჩელიშვილს, სტუ-ს პროფესორს ქალბატონ თამარ მალაღურაძეს, თსუ-ს პროფესორს ქალბატონ ქეთევან აბესაძეს, გორგასლის უნივერსიტეტის დეკანს მზია ქათამაძეს და პროფესორს ქეთევან წიკლაურს, გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის რექტორს ბატონ გია მათიაშვილს და პრორექტორს ქალბატონ მაია უკლებას, თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორებს ქალბატონ ლალი ეზუგბაიას და ბატონ ერეკლე ასტახიშვილს. სწორედ მათი დახმარებით გახდა შესალებელი მონაცემების სწრაფად და დაუბრკოლებლად შეგროვება. ასევე, გამორჩეული მადლობა ია რჩელიშვილს ინსტრუმენტის თარგმნაში გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლობა მარიამ გოგიჩაიშვილს მონაცემების სწრაფი და ხარისხიანი კოდირებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ თავის

სამაგისტრო ნაშრომზეც მუშაობდა. და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა კვლევის 270-ივე მონაწილეს, რომლებმაც არ დაიზარეს კვლევაში მონაწილეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ხეზუაშვილი, ლ. (2016d). მასტერ ნარატივის ინტეგრაციული თეორიული ჩარჩო: ქართული ილუსტრაცია. *GESJ: Education Sciences and Psychology*, No.3(40) , გვ. 122-152 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2777.pdf>).
- Berntsen, D., & Bohn, A. . (2010). Remembering and forecasting: The relation between autobiographical memory and episodic future thinking. *Memory & Cognition* 38 (3), 265-278.
- Berntsen, D., & Jacobsen, A. S. (2008). Involuntary (spontaneous) mental time travel into the past and future. *Consciousness and Cognition*, 17, 1093–1104.
- Berntsen, D., & Rubin, D. C. (2002). Emotionally charged autobiographical memories across the life span: The recall of happy, sad, traumatic, and involuntary memories. *psychology and Aging*, 17, 636–652.
- Berntsen, D., & Rubin, D. C. (2004). Cultural life scripts structure recall from autobiographical memory. *Memory & Cognition*, 32,, 427–442.
- Bohn, A. (2010). Generational Differences in Cultural Life Scripts and Life Story Memories of Younger and Older Adults. *APPLIED COGNITIVE PSYCHOLOGY*, 24 , 1324–1345.
- Coleman, J, T. (2014). Examining the Life Script of African-Americans: A Test of the Cultural Life Script. *Applied Cognitive Psychology*, 28, 419–426.
- Erdogan, A., Baran, B., Avlar, B., Tas, A. Ç., & Tekcan, A. I. (2008). On the persistence of positive events in life scripts. *Applied Cognitive Psychology*, 22,, 95–111.
- Habermas, T. (2007). How to tell a life: The development of the cultural concept of biography. *Journal of Cognition and Development*, 8, 1–31.
- Haque, S., & Hasking, P. A. (2010). Life scripts for emotionally charged autobiographical memories: A cultural explanation of the reminiscence bump. *Memory*, 18,, 712–729.
- Hatiboglu, N., & Habermas, T. (2016). The normativity of life scripts and its relation with life story events across cultures and sub-cultures. *in press*.
- Janssen, S. M. J., & Haque, S. (2015). Cultural life scripts in autobiographical memory.
- Janssen, S. M. J., & Rubin, D. C. (2011). Age effects in cultural life scripts. *Applied Cognitive Psychology*, 25,, 291–298.
- Janssen, S. M. J., Uemiya, A., & Naka, M. (2014). Age and gender effects in the cultural life script of Japanese adults. *Journal of Cognitive Psychology*, 26,, 307–321.
- McLean, K., & Syed, M. (in press). Personal, Master, and Alternative Narratives: An Integrative Framework for Understanding Identity Development in Context. *Human Development*.
- Neugarten, B. L., Moore, J. W., & Lowe, J. C. (1965). Age norms, age constraints, and adult socialization. *American Journal of Sociology*, 70, 710-717.
- Ottsen, C. L., & Berntsen, D. (2013). the cultural life script of Qatar and across cultures: Effects of gender and religion. *Memory*, 22,, 390-407.

- Rubin, D. C., & Berntsen, D. (2003). Life scripts help to maintain autobiographical memories of highly positive, but not highly negative, events. *Memory & Cognition, 31*, 1–14.
- Rubin, D. C., Berntsen, D., & Hutson, M. (2009). The normative and the personal life: Individual differences in life scripts and life stories among U.S.A. and Danish undergraduates. *Memory, 17*, 54–68.
- Rubin, D. C., Wetzler, S. E., & Nebes, R. D. (1986). Autobiographical memory. In D. C. Rubin, *Autobiographical memory across the adult life span*. (pp. 202–221). Cambridge: Cambridge University Press.
- Schank, R. C., & Abelson, R. P. (1977). Scripts, plans, and knowledge. In P. N. Johnson-Laird & P. C. Wason. In R. C. Schank, *Thinking: Readings in cognitive science* (pp. 421–432). Cambridge: Cambridge University Press.
- Teckan A. I., Kaya-Kiziloz B., Odaman, H. (2012). Life scripts across age groups: A comparison of adolescents, young adults, and older adults. *Memory, 37*–41.

Article received: 2016-08-08